# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 ოქტომბერი, 2014 წელი.

№202 (7583)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge



ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


მაინც, რა წერია რეზოლუციაში?

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ



როგორც რეზოლუციის ტექსტშია აღნიშნული, ასამბლეა მიესალმება საქართველოში 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებას, რომელიც მიუხედავად პოლარიზებული და დაძაბული საარჩევნო გარემოსი, იყო დემოკრატიული და ევროპული სტანდარტების შესაბამისი.

„პირველად საქართველოს უახლოეს ისტორიაში, ამ არჩევნებმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მშვიდობიანი და დემოკრატიული გზით შეიცვალა. ყველა პოლიტიკურ ძალას უნდა მივულოცოთ ეს მიღწევა, რომელიც მაგალითი უნდა იყოს მთელი რეგიონისთვის“, — ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარებას თან სდევდა პოლარიზებული და ანტაგონისტური პოლიტიკური კლიმატი, განსაკუთრებით მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და „ქართული ოცნების„ კოალიციური მთავრობის კოჰაბიტაციის პერიოდში. ასამბლეა მწუხარებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ რიგ შემთხვევებში ეს დაძაბულობა ჩრდილავდა ბევრ პოზიტიურ ცვლილებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს დემოკრატიულ გარემოში. ნაციონალურმა მოძრაობამ განაცხადა, რომ ათასობით მათ აქტივისტსა და მხარდამჭერს სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოები რეგულარულად კითხავდნენ და აშინებდნენ. მთავარი ოპოზიციიური პარტიის წარმომადგენლებზე კი, მათ შორის, პარლამენტის წევრებზე, განხორციელდა ძალადობრივი თავდასხმა.

„უნდა აღინიშნოს, რომ ორი წლის შემდეგ ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის ყველა მაღალჩინოსანი დაპატიმრებულია, წაყენებული აქვს ბრალდებები ან გამოძიების ქვეშაა, მათ შორის, დაპატიმრებული არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი და წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს“, — ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში.

ამასთან, როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაშია ნათქვამი, ძლიერი და გამოცდილი ოპოზიციის გამოჩენამ, კარგად ორგანიზებულ მმართველ კოალიციასთან ერთად გააძლიერა პარლამენტისა და პარლამენტარიზმის როლი საქართველოს პოლიტიკურ სისტემაში. მეტიც, ბევრ შემთხვევაში პარლამენტმა მიაღწია კონსესუსს ძირითადი პოლიტიკური გამოწვევების გადაჭრისას.

იხ. 2 გვ.

სად არის ივანიშვილი?



## ის კი გადადგა, მაგრამ მოსახლეობამ არ გაუშვა...

3

## თავყრილობა გაეროში

იხ. 5 გვ.

აშშ-მა უკრაინული ფაშიზმის აღორძინებით დიდი ქაოსი და დაპირისპირება გააჩინა უკრაინაში და არა მარტო იქ.

ვინ მიდის ფორუმზე?



## „სიტყვა „დავოსის“ წარმოთქმისთვის დანესდეს ჯარიმა ბიუჯეტის სასარგებლოდ“

7





პიროვნება

6

## გამორჩეილი მამულიშვილი

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე – 100

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

**„ასამბლეა მიიჩნევს, რომ ეს არის მნიშვნელოვანი განვითარება და ქვეყანაში პოლიტიკური გარემოს ძირითადი ევოლუცია“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ამასთან, ასამბლეა მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, შეთანხმდნენ საარჩევნო სისტემაზე, რომელიც დაემყარება ფართო კონსესუსს და, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუციების პლურარისტულ ხასიათს.

**„ამ მხრივ ასამბლეა მოუწოდებს ყველა პოლიტიკურ ძალას, განიხილოს პროპორციულ-რეგიონული საარჩევნო სისტემა, ღია სიების საფუძველზე, რომელზეც შეთანხმდება ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ძალების უმეტესობა. ასამბლეა მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ მხარეს, თავი შეიკავოს ცვლილებების განხორციელებისგან სადავო ან განხეთქილების ენით ან იმ მეთოდით, რაც დაარღვევს ქვეყანაში ნებისმიერი უმცირესობის უფლებებს“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ასამბლეა ასევე მიესალმება კონსტიტუციური რეფორმებისთვის სახელმწიფო კომისიის შექმნას და რეკომენდაციას იძლევა, რომ კონსტიტიციური რეფორმების სახელმწიფო კომისიამ მჭიდროდ ითანამშრომლოს ვენეციის კომისიასთან საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით.

ამასთან, როგორც რეზოლუციაშია ნათქვამი, ასამბლეა კიდევ ერთხელ ახსენებს საკუთარ შეშფოთებას საქართველოში მართლმსაჯულებისა და სასამართლოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ასამბლეა მიესალმება ყოვლისმომცველი რეფორმების პაკეტის მიღებას სასამართლო და მართლმსაჯულების სისტემისთვის, რომლის მიზანიც სასამართლო სისტემის ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფაა. ასამბლეა ასევე მიესალმება ნიშნებს, რომ სასამართლო ახლა უფრო დამოუკიდებლად მუშაობს. თუმცა, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი სენსიტიური სასამართლო საქმის სამართალწარმოებისას, მათ შორის, ხელისუფლების ყოფილი წევრების მიმართ, გამოვლინდა ხარვეზები, რომელიც უნდა გადაიჭრას. მეტიც, ასამბლეა წუხილით აღნიშნავს, რომ საქართველოს პარლამენტმა ვერ მიაღწია კონსესუსს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ექვსი წევრის არჩევისას. ამიტომ საჭიროა სასამართლო სისტემის, მათ შორის პროკურატურის შემდგომი რეფორმების გატარება.

ასამბლეა მოუწოდებს პარლამენტს, შესამჩნევად შეამციროს სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდი მოსამართლეებისთვის, რომლებიც უვადოდ უნდა დაინიშნონ, რათა შესაბამისობაში მოვიდეს ევროპული სტანდარტები. ასამბლეა ასევე მოუწოდებს პარლამენტს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონში ცვლილებების შეტანისკენ ასეთი დანაშაულებებისთვის შესაძლო თავისუფლების აღკვეთის აცილების მიზნით.

**„ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს საქართველოში წინასწარი პატიმრობის ფართოდ გამოყენებასთან დაკავშირებით. ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს, როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც არსებობს აშკარა მიმალვის, მართლმსაჯულების საქმიანობაში ჩარევის მცდელობა ან სერიოზული რისკი, რომ პიროვნება ჩაიდენს სერიოზულ დანაშაულს ან საფრთხეს უქმნის საზოგადოების წესრიგს და ეს არ უნდა იქნას გამოყენებული პოლიტიკური მიზნებისთვის. ასამბლეა მოუწოდებს ხელისუფლებას მიიღოს მკაფიო ინსტრუქციები პროკურატურასა და სასამართლოებისთვის, რათა უზრუნველყოს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნების სრული დაცვა და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებთან სრული თავსებადობა წინასწარი პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით.**

**ასამბლეა გამოხატავს შეშფოთებას ოპოზიციონერებისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრების საკუთრების დაყადაღების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც არ შეიცავს ბრალდებებს უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით. მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, სრულად განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება მოწმეთა ჩვენებებისა და ნაფიცმსაჯულთა შესახებ“,** — ნათქვამია რეზოლუციის ტექსტში.

როგორც რეზოლუციაშია აღნიშნული, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობიდან გადადგომა და ერთი პარტიიდან მეორეში გადასვლა დემოკრატიული პროცესის ნაწილია, მიუღებელია, თუ ეს იძულების წესით ხდება. ასამბლეა სერიოზულად შეშფოთებულია სანდო ინფორმაციებით, რომ ამ ცვლილებების უმრავლესობა ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებზე მმართველი კოალიციის მხარდამჭერთა ზეწოლის შედეგად განხორციელდა. ასამბლეა ასევე შეშფოთებულია ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიების ძალადობრივი ჩაშლით სავარაუდოდ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა მხრიდან ისევე, როგორც ცნობებით იმის შესახებ, რომ თვითმმართველობის არჩევნებში ბევრმა ოპოზიციურმა კანდიდატმა, მათ შორის უმრავლესობამ ნაციონალური მოძრაობიდან საკუთარი კანდიდატურა მოხსნა თითქოსდა ხელისუფლების ზეწოლის შედეგად.

**„დემოკრატიულ საზოგადოებაში ასეთ ქმედებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. ხელისუფლებამ სწრაფი და ეფექტური ზომები უნდა გაატაროს მსგავსი ქმედებების დაუყოვნებელი აღკვეთისთვის და სიტუაციის გამოსასწორებლად, სადაც საჭიროა. მმართველი უმრავლესობის ლიდერებმა მკაფიო და ცალსახა სიგნალი უნდა გაუგზავნონ თავიანთ მხარდამჭერებს, რომ დაუშვებელი იქნება ნებისმიერი ზეწოლა ადგილობრივ ოფიციალურ პირებზე და ოპოზიციის პოლიტიკური აქტივობების დარღვევა“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ასამბლეა შეშფოთებულია იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება და სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და ადგილი აქვს შერჩევით და რევანშისტულ სამართალს.

**„ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, მათ შორის და განსაკუთრებით მთავრობის პირებისა და პოლიტიკოსების მიერ ჩადენილი, იქნება ეს წარსულში, თუ ახლა. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, უზრუნველყოს, რომ ყოფილი მთავრობის წევრების საქმეებზე გამოძიება და დევნა ხორციელდებოდეს მიუკერძოებლად, გამჭვირვალედ და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების სრული დაცვით, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში. ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ ადგილი არ უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ შერჩევით და პოლიტიკურად მოტივირებულ სამართალს, არამედ ნათელი უნდა იყოს, რომ ეს არ ხდება. აღნიშნავს ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებებს და მართალია, ხაზს უსვამს, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა, მოუწოდებს ხელისუფლებას ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით, უზრუნველყოს, რომ სამართლებრივი ქმედებები, მათ შორის, წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა სააკაშვილის წინააღმდეგ არ იყოს პოლიტიკური მოტივების ზეგავლენის ქვეშ. მოუწოდებს ხელისუფლებას სრულად და გამჭვირვალედ გამოიძიოს ამ საქმეებთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოებისა და პროკურატურის არასათანადო ქცევის ნებისმიერი ბრალდება. ითვალისწინებს რა, ამ სამართლებრივი დევნების გამო შექმნილ დაძაბულ პოლიტიკურ გარემოს, ასამბლეა მიესალმება ხელისუფლების შეთავაზებას შესაძლო ამნისტიასთან დაკავშირებით ყოფილი მთავრობის პირების მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულების გარდა. ასამბლეა ასევე შეშფოთებას გამოხატავს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიას წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო და სთხოვს ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა არსებული სამართლებრივი შესაძლებლობა, შეცვალოს მისი წინასწარი პატიმრობა რომელიმე სხვა არასაპატიმრო პრევენციური ღონისძიებით“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ასამბლეა ასევე ხაზს უსვამს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საჯარო სამსახურის მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ პრაქტიკა, როდესაც საჯარო მოხელეების სამსახურში აყვანა და გათავისუფლება ხდება მათი პარტიული კუთვნილების საფუძველზე, როგორც წინა, ისევე მოქმედი ხელისუფლების დროს, ეწინააღმდეგება ამ პრინციპებს და უნდა შეჩერდეს.

რეზოლუციის ტექსტში ასევე აღნიშნულია, რომ შეშფოთებას იწვევს ქართულ საზოგადოებაში უმცირესობების წინააღმდეგ შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციული ქმედებების მატება, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ.

**„ასამბლეა შეშფოთებას გამოხატავს უმცირესობების წინააღმდეგ ჩადენილი სიძულვილის დანაშაულის ეფექტური გამოძიების ნაკლებობასთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა განმარტოს, რომ ასეთი ქმედება არ იქნება შეწყნარებული და ძალადობრივი და დისკრიმინაციული ქმედებების ჩამდენი ნებისმიერი დამნაშავე დაისჯება. ყველა დაინტერესებულმა მხარემ, განსაკუთრებით პოლიტიკური პარტიებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლებმა, რომლებიც ქართულ საზოგადოებაში მაღალი მორალური ნდობით სარგებლობენ, თავი უნდა შეიკავონ განხეთქილების ენისა და ქმედებების გამოყენებისგან, რომელმაც, შესაძლოა, უბიძგოს უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობისა და ვითარების გაუარესებისკენ. ასამბლეა მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ მაისში მიღებულ ადამიანთა უფლებების სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას“,** — ნათქვამია რეზოლუციაში.

ასამბლეა ასევე მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, მოახდინოს რატიფიცირება და ხელი მოაწეროს რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპულ ქარტიას, რომელიც ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანების აღებული ვალდებულებაა.

ასამბლეა ასევე შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოქალაქეთა სისტემატური უკანონო მოსმენების გამო, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით აღებულ ქვეყნის ვალდებულებას არღვევს.

**„მივესალმებით რა ამ საკითხთან დაკავშირებით გატარებულ ბოლო ზომებს, ასამბლეა მიიჩნევს, რომ დაუყოვნებლივ არის საჭირო სამართალდამცავი ორგანოების მიერ მონაცემთა შეგროვებისა და მოსმენების დასარეგულირებლად ყოვლისმომცველი კანონმდებლობა“,** — ნათქვამია რეზოლუციაში. როგორც რეზოლუციის ტექსტშია აღნიშნული, ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია დემოკრატიული განვითარების კუთხით, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაჩრდილა ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის ყველა ლიდერისა და ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავებებმა და სამართლებრივმა დევნამ, რაც ბადებს კითხვებს მართლმსაჯულების სისტემის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებასთან დაკავშირებით.

**„ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ დაძლეულ იქნას ანტაგონიზმი, პოლარიზაცია და რევანშის გრძნობა, რომელიც კვლავაც არსებობს პოლიტიკურ გარემოში. მნიშვნელოვანია, რომ დაინტერესებულმა პოლიტიკურმა მხარეებმა ხელი შეუწყონ ქვეყნის შემდგომ დემოკრატიულ კონსოლიდაციას. ასამბლეა მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებასა და პარლამენტს ამ კუთხით“,** — ნათქვამია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციაში.

**რედაქციისგან:** **ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის დიდი ნაწილი სამარცხვინოდ იმეორებს ნაციონალური მოძრაობის და პირადად ბრალდებული სააკაშვილის „მეგობარი“ ევროპის სახალხო პარტიის რამდენიმე წევრის „შეშფოთებას“ საქართველოში შექმნილი სიტუაციის გამო...**

**არამკითხე ევროპელი „რეკომენდატორების“ ასეთი პოზიცია სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ თავის უახლოეს ნომრებში კიდევ ერთხელ დაანახვებს დაინტერესებულ მკითხველს (საქართველოშიც და უცხოეთშიც), თუ ვინ არიან ნაციონალები და მათი ევროპელი მხარდამჭერები.**

## ◉ ინფორმაცია

### უსამძიმრებენ საქართველოს პატრიარქს

**საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ძმის, ბერი გიორგის გარდაცვალების გამო მიუსამძიმრა.**

**პრეზიდენტი სამთავროს დედათა მონასტრის ფერისცვალების ტაძარში იმყოფებოდა. მან პატრიარქს საკურთხეველში მიუსამძიმრა.**

**გუშინ მონასტერში სამგლოვიარო პანაშვიდზე ასევე იმყოფებოდნენ დედაქალაქის მერი დავით ნარმანია და საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი.**

**პატრიარქის მიბრძანებამდე ტაძარში ილია მეორის უფროსი ძმის, ბერი გიორგის სულის მოსახსენიებლად წირვა და პანაშვიდი შესრულდა, რომელიც რამდენიმე მეუფემ გადაიხადა.**

## ◉ ინფორმაცია

### მთავრობამ 60 მლნ. დოლარის სესხი აიღო



**ელექტროგადამცემი სისტემებისთვის, საქართველოს მთავრობა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკისგან (IBRD) 60 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სესხს იღებს.**

**სესხის ხანგრძლივობა 25 წელია, მათ შორის 10-წლიანი შეღავათიანი პერიოდით.**

**საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულება პარლამენტს რატიფიცირებისთვის უკვე წარედგინა.**

**როგორც საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ითქვა, პროექტი შემდეგი კომპონენტების განხორციელებას ითვალისწინებს: ახალციხიდან ბათუმამდე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი (220კვ) ხაზის მშენებლობა; ელექტროენერგიით ვაჭრობის ახალი პლატფორმის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ელექტროენერგიით ვაჭრობის პლატფორმის მომზადებას, მომარაგებასა და ინსტალაციას. პლატფორმის, როგორც ტექნიკურ, ასევე პროგრამულ უზრუნველყოფას აღრიცხვის, ანგარიშგების, საბალანსო და ვაჭრობისათვის საჭირო სხვადასხვა სერვისების ჩათვლით; ელექტროენერგიის სექტორის სტრატეგიული გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება; ელექტროგადამცემი სისტემების შესწავლა. აღნიშნული ითვალისწინებს ახალი ელექტროგადამცემი სისტემის გაფართოების გეგმის მომზადებას. მომავალი ელექტროგადამცემი ხაზების ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლების მომზადებას და წინასწარი დიზაინების მომზადებას მომავალი ელექტროგადამცემი ხაზებისათვის.**

# ის კი გადადგა, მაგრამ მოსახლეობამ არ გაუშვა...



**ნომრის სტუმარია ექსპერტი ვახტანგ ძაბირაძე**

**— ბატონო ვახტანგ, მოდით, დავიწყოთ საუბარი ევროსაბჭოში მიღებული რეზოლუციის შეფასებით. რამდენად ლოგიკურად მოგეჩვენათ ის ტექსტი, რომელსაც „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებმა მხარი არ დაუჭირეს?**

— მთლიანობაში ტექსტი ჯერ არ მინახავს, თუმცა, ის რაც ტელევიზიით მოვისმინე, ჩემთვის მოულოდნელი არ იყო. როგორც კი ბაჩო ახალაია დაიჭირეს, დასავლეთი ამ პროცესის მიმართ არც თუ ისე კეთილგანწყობილი იყო. ამიტომაც სამართლიანობის აღდგენის საკითხს ხელისუფლება ძალიან სკრუპულოზურად უნდა მიუდგეს. მეტი მუშაობაა საჭირო დასავლეთში და მათი მეტი ინფორმირებულობა. ფაქტია, რომ იქ ეჭვები არის, არა კანონიერებასთან დაკავშირებით, არამედ იმაზეც, თუ საითკენ წავა ქვეყანა. ჩვენ ჯერ კიდევ გზაჯვარედინზე ვართ: ან კვლავ ავტოკრატიისკენ ავიღებთ გეზს, ან დემოკრატიისკენ შევბრუნდებით...

**— ისევ გზაჯვარედინზე ვრჩებით?**

— იცით, რას ვფიქრობ, ჩვენ — ქართველებს მნიშვნელოვანი რაღაც გამოგვრჩა. 90-იან წლებში, როცა გამოვაცხადეთ რომ დამოუკიდებლობა გვინდოდა, გააზრებული არ გვქონდა მისი არსი. თითქოს ყველამ ყველაფერი ვიცოდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თურმე დღესაც არ ვიცით. იმთავითვე ხომ ვთქვით, რომ სახელმწიფო ენა უნდა იყოს ქართულიო. ახლა რუსული ჩაანაცვლა ინგლისურმა, მერე, ჩვენ რა?ან შეიძლება მიწის გასხვისებაზე იფიქროს ჩვენნაირმა ქვეყანამ?! მიწა ხომ არ არის მხოლოდ ეკონომიკური საქონელი, ის კიდევ სხვა რაღაცაა. თუ ჩვენ საყდრისს ისე მოვექცევით, როგორც ვექცევით, მაშინ რას ვიცავთ, რა უნდა მოგვიტანოს ეროვნულმა სახელმწიფომ?! მიზანი რა არის, მხოლოდ ეკონომიკური კეთილდღეობა? მუხრანს ჰქონდა ასეთი ლექსი: „ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ“. ნუთუ ეს დავრჩით?!

**— თუმცა, ამერიკაში მყოფმა პრემიერმა ღარიბაშვილმა მსოფლიოს საინტერესო გზავნილები გააცნო... მაგრამ ჩვენ რა? რა სიკეთეებს უნდა ელოდეს ჩვენი მოსახლეობა ასეთი მასშტაბური ვიზიტებისგან?**

— პრემიერის გამოსვლაში საგარეო საკითხი საკმაოდ კარგად იყო გაშუქებული. მან პასუხი გასცა, როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყანას, ასევე ქვეყნის შიგნით თავის ოპონენტებს. რუსეთთან მიმართებაში საკითხები ორად გაიყო: ერთი შეეხებოდა კულტურულ, ეკონომიკურ, სავაჭრო თემებს, ხოლო მეორე პოლიტიკურ სფეროს. ორივეგან აქცენტები სწორად იყო დასმული.

ჩემი აზრით, ქართული ოცნების წარმატებას თუ რამეში ვხედავ, ეს არის საგარეო პოლიტიკა: ურთიერთობა ევროკავშირთან, რომელიც ასოცირების ხელშეკრულებით გაგრძელდა, ნატოს უელსის სამიტზე მიღებული მხარდაჭერა, აშშ-ის სენატის მიერ საქართველოს მთავარ მოკავშირედ ცნობა; და ამასთანავე დავამთავრეთ რუსეთთან ორლობის პოლიტიკა. შეიცვალა რიტორიკა, რომელსაც ჩვენსავე საწინააღმდეგოდ იყენებდნენ რუსები და ჩვენგან მოსისხლე მტრის იმიჯს ქმნიდნენ. პრემიერის რიტორიკა შეიცვალა, მეტი არაფერი... მაგრამ ესეც კარგია.

რაც შეეხება ქვეყნის შიგნით დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას, აქ არის პრობლემა. ზუსტად იმ სისტემაში ვცხოვრობთ, რაშიც ვცხოვრობდით. 2010 წლის კონსტიტუციას ვიყენებთ, რომელიც პრობლემურია. ამას ვხედავთ კიდეც პრეზიდენტსა და პრემიერს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის სახით. ჩვენ დღეს გვაქვს არა ლიბერალური მმართველობა, არამედ გვყავს ლმობიერი ხელისუფლება. ესაა და ეს! ჯერ არ გვსჯიან, მაგრამ თუ დასჭირდებათ, დაგვსჯიან.

**— რატომ არის ხელისუფლება ლმობიერი: მენტალიტეტი შეიცვალა, მიდგომები თუ ეშინიათ?**

— ჯერჯერობით, სადავეების მოჭერა არ სჭირდებათ. ზოგადად, საქართველოში ახალი ხელისუფლება საწყის ეტაპზე ყოველთვის დიდი მხარდაჭერის მატარებელია. 2-3 წელიწადი ზედმეტი აქტიურობა არ სჭირდება, პრობლემები შემდეგ იწყება.

**— როგორი იყო განვლილი ორი წელიწადი ახალი ხელისუფლების პირობებში?**

— მიმაჩნია, რომ არ იყო წარმატებული. ამ წლების განმავლობაში არანაირი რეფორმა არ განხორციელებულა: ჩვენ ისეთივე დღეში ვართ. მნიშვნელობა არა აქვს, ნახევრად ამოსული ვართ ჭაობიდან თუ არა, მთავარია, რომ ისევ პოლიტიკურ ჭაობში ვრჩებით. ჩემი აზრით, გარდამტეხი იქნება 2015 წელი. მაშინ გამოჩნდება: წავალთ ავტორიტარიზმის გზით თუ წავალთ დემოკრატიისკენ.

**— ვინ უნდა წავიდეს დავოსში: პრეზიდენტი თუ პრემიერი? ახლა ეს კითხვა გააქტიურდა.**

— არ ვიცი, ვერც ერთის წასვლაში ვერ ვხედავ პრობლემას, უბრალოდ, უხერხულობა იქნება, თუ ორივე წავა. სიტუაცია ისეა აწყობილი, რომ არც მთავრობას შეუძლია რეალური ზემოქმედება პრეზიდენტზე და არც პირიქით. აღმასრულებელი ხელისუფლება ცდილობს, იგნორირება გაუკეთოს პრეზიდენტს თუ პრეზიდენტის ინსტიტუტს, მაგრამ რაში სჭირდება ეს, არ მესმის?! საერთოდ, პრეზიდენტს რა უნდა, ეს კიდევ გაურკვეველია და ცალკე თემაა...

**— იმიტომაც, ხომ არ იქცევიან ასე მთავრობის წევრები, რომ არ იციან, პრეზიდენტს რა უნდა?**

— კომუნიკაციის პრობლემა რატომ უნდა იყოს? მას შემდეგ დაიწყო პრეზიდენტის შესახებ პრობლემის მუდმივი აჟიტირება საჯარო სივრცეში, რაც ივანიშვილმა გამოთქვა მასზე აზრი, ასევე საჯაროდ.

ჩვენ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთელი პასუხისმგებლობა პრემიერს ეკისრება და არა პრეზიდენტს. მარგველაშვილი პრობლემებს გვერდიდან უყურებს და ამ მხრივ კომფორტულ ვითარებაშია. მაგრამ, როცა მას რაღაცით ზღუდავენ, დაჩაგრული გამოდის, ხოლო მისი პოლიტიკური რეიტინგი იზრდება.

**— ვინ არის დღეს ბიძინა ივანიშვილი. მაშინ, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ივანიშვილის მოყვანილ ხელისუფლებაზე, რა როლს თამაშობს ის ახლა?**

— თავის დროზე ვფიქრობდი, რომ მან მართლაც დატოვა პოლიტიკა: როგორც ჩანს, მთლად ასე არ არის. ის საკმაოდ აქტიურად არის ჩართული იმ პროცესებში, რაც ქვეყანაში ხდება. იმ დონეზეც კი, რომ ამბობს: მთელი წელიწადი ვეძებდით კულტურის მინისტრის კანდიდატურასო...

**— რამდენად კარგად ზემოქმედებს ეს ჩარევა?**

— როცა თან მართავ და თან არა, ძალიან ცუდია. აქ რომ იყოს ლაპარაკი რჩევებზე, სხვა ამბავია.

თუკი ის პოლიტიკიდან წასვლას გეგმავდა, მაშინ 2012 წლიდანვე უნდა მიეცა საშუალება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდისთვის, თავად შეერჩიათ პრეზიდენტის კანდიდატურა. როცა პარლამენტს ივანიშვილის ლეგიტიმაცია აქვს, მთავრობა მისი დაკომპლექტებულია, პრეზიდენტზე კი აღარაფერს ვამბობ, ის გვერდზე ვერ გადგებოდა და ვერც გადგება.

როცა მან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა, მაშინვე გამოვაქვეყნე ღია წერილი, არ უნდა წახვიდე-თქო. არსებობს პოლიტიკური კაპიტალი, რომელიც ხალხმა მას ანდო. ამიტომაც როცა რაღაც პრობლემა ჩნდება, იქვე ისმება კითხვა — სად არის ივანიშვილი? ის კი გადადგა, მაგრამ მოსახლეობამ არ გაუშვა. უნდა თუ არა, სულ მისი აჩრდილია პოლიტიკურ ავანსცენაზე. ამიტომ, ვფიქრობ, მას კიდევ სჭირდება რაღაც ნაბიჯის გადადგმა. ის ფუნქცია, რაც მას ახლა აქვს, საკმარისი არ არის.

**— ის ხომ მესამე სექტორშია... აბა „მოქალაქე“ სხვა რა არის?**

— „მოქალაქე“ ობიექტური ვერ იქნება. ივანიშვილს პოლიტიკური პროცესების ადეკვატური აღქმა არა აქვს, პოლიტიკა ცოტა სხვა ფენომენია...

**— შეეძლო თუ არა ბიძინა ივანიშვილს ფინანსურად გაემაგრებინა ზურგი ხელისუფლებისთვის, როგორც ამას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ აკეთებდა?**

— კარგი იქნებოდა, თუ ამას გააკეთებდა, მაგრამ ასეთი საკითხების მრჩევლად მე ვერ გამოვდგები.

ის დღეს რომ პოლიტიკაში მაინც არის, შეიძლება ამიტომაც ვერ დებს ფულს ასე პირდაპირ. ფონდი გააკეთა, მაგრამ რა ეფექტის მომტანი იქნება, ვერ გეტყვით.

**— იცით, რა ვიგულისხმე? ის სოციალურ-ეკონომიკური უმოძრაობა, რაც ქვეყანაში არის, დადებითად მუხტავს ოპოზიციას, განსაკუთრებით ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ხელისუფლებას, ხოლო საზოგადოების რაღაც ნაწილი ამას ეთანხმება.**

— ნაციონალური მოძრაობა იმდენად მიუღებელია საზოგადოებისთვის, რომ რაც არ უნდა იწვალონ, არჩევნების გზით ვერ დაბრუნდებიან!

**— თუმცა, ფაქტია, რომ პარლამენტში უმრავლესობის შემდეგ ისინი არიან უმრავლესობა.**

— იმიტომ, რომ ოპოზიციური ფლანგი შიშველია. მაგრამ ნაციონალებს პერსპექტივა მაინც არა აქვთ. რა საკითხებზეც ისინი აპელირებენ, სწორია, მოსახლეობა ამას ეთანხმება, მაგრამ მხარს არ უჭერს. საზოგადოება ეძებს ძალას, რომელმაც შეიძლება ჩაანაცვლოს „ქართული ოცნება“, ოღონდ, ეს ნაციონალები არ იქნებიან. ნაციონალები ფაქტობრივად ქმნიან გარემოს ახალი ძალის აღმოსაცენებლად. როგორც ჩანს, ისინი მალე მარგინალებად გადაიქცევიან, ისეთებად, ზვიადისტები რომ იყვნენ შევარდნაძის დროს.

**— არჩევნები მალე მოვა. ხალხის გაღიზიანება იზრდება. რა შეუძლია გააკეთოს ხელისუფლებამ ნდობის მოსაპოვებლად?**

— ხელისუფლება სუპერ-აქტიური უნდა გახდეს. როგორც პიარის, ისე რეფორმების თვალსაზრისით.

**— რეფორმა ხან ამართლებს, ხან — არა.**

— რეფორმა გაამართლებს, თუ მასში საზოგადოების რაც შეიძლება მეტი ნაწილი ჩაერთვება. ივანიშვილმა თუ გახსოვთ, მოაზროვნე, აქტიურ ნაწილს თავი მოუყარა... ახლაც რაღაც მსგავსი რამე არის გასაკეთებელი. უპირველესად, ასეთი აქტიურობა უიმედობას გააჩერებს. სისტემური ცვლილებები 2012 წელსვე უნდა დაწყებულიყო, დააგვიანეს. ნაციონალური მოძრაობა მარტო ციხე არ ყოფილა. მათ შექმნეს სისტემა, ცუდი, მაგრამ ძლიერი. ჩემი აზრით, პრობლემა ის კი არ არის, რომ ნაციონალური მოძრაობის აქტიური სახეები ვერ დააპატიმრეს, დამნაშავეები ვერ დააკავეს, არამედ ის, რომ ნაციონალური მოძრაობის იდეოლოგიური დამარცხება ვერ მოხერხდა. ქვეყანა მართვის სხვა სისტემაზე ვერ გადავიდა. ივანიშვილი ერთგვარი მუხრუჭია. ის სისტემაში არ არის, მაგრამ გარედან ცდილობს, სისტემა ამუშაოს...

**— ნაციონალების გაყვანილ რელსებზე?**

— დიახ, რთული სტრუქტურაა. ჩვენ პატარა, ლოკალური პრობლემები კი არ გვაქვს, არამედ პრობლემათა ჯაჭვია. რა გვჭირდება — არ ვიცით. პრობლემები მომავალი წლიდან კიდევ უფრო ხელშესახები გახდება. ჩემი აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ რადიკალური სვლა უნდა გააკეთოს — დანიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. ამ გზით ივანიშვილი გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან, ხოლო „ქართული ოცნება“ — ივანიშვილის გავლენისგან. სხვაგვარად, 2016 წელს რომ ისეთივე თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, როგორიც წინა ორი იყო, ვერ ვხედავ.

**— ეს აზრი დიდი ხანია ისმის საზოგადოებაში, მაგრამ ხელისუფლება ამისთვის სავარაუდოდ მზად არ არის.**

— ე. ი. ისინი პროცესებს ცუდად უყურებენ. მათ ჯერ კიდევ არ ესმით შექმნილი რეალობის მთელი დრამატიზმი.

**— შემოდგომაზე რევოლუცია ნაადრევია?**

— ახლა აშკარად ადრეა, მაგრამ 2016 წელს ამის შანსი იქნება.

**— მესამე ძალად ვინმეს მოიაზრებთ?**

— როცა ვითარება მოითხოვს, ყოველთვის ჩნდება რაღაც კონფიგურაცია...

**— გმადლობთ.**

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ინფორმაცია**

## სანდრო ბრეგაძე მედიასთან ურთიერთობის საკითხებს უხელმძღვანელებს

**დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გელა დუმბაძემ თავისი ახალი მოადგილე სანდრო ბრეგაძე წარადგინა. როგორც დუმბაძემ აღნიშნა, სანდრო ბრეგაძე სამინისტროში მედია მიმართულებას და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს უხელმძღვანელებს.**

**„სანდრო ბრეგაძე საზოგადოებაში ცნობილია, როგორც გამორჩეული თავის ქვეყნის პრინციპული მებრძოლი და ძალიან კარგი პროფესიონალი. ვფიქრობ, მედიასთან ურთიერთობა, საჯარო შეხვედრები, პიართან დაკავშირებული საკითხები მეტ ყურადღებას მოითხოვს. ბატონ სანდროს ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს და კანდიდატების ხანგრძლივი შერჩევის შემდეგ გადავწყვიტეთ მის კანდიდატურაზე შეჩერება სწორედ მისი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე“, — განაცხადა გელა დუმბაძემ.**

**სანდრო ბრეგაძემ კი მადლობა გადაუხადა პოლიტიკურ პარტია „ქართულ ოცნებას„ ნდობისათვის და პირადად მინისტრ გელა დუმბაძეს. როგორც ბრეგაძემ აღნიშნა, დიასპორის საკითხები უმნიშვნელოვანესი სფეროა. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად იმ სფეროს, რომელსაც ის გაუწევს კურირებას, ბრეგაძის განცხადებით, მას წლების განმავლობაში ამ კუთხით უწევდა მუშაობა.**

◉ აზერბაიჯანი ევროსაბჭოს წინააღმდეგ

# „საქართველომ ყველა თქვენი რეკომენდაცია შეასრულა, სამაგიეროდ ტერიტორიები დაკარგა“...

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა სამედ სეიდოვმა ევროსაბჭოს კრიტიკისაგან თავშეკავება და ამ ორგანიზაციის წევრქვეყნებში საკუთარ იმიჯზე დაფიქრებისაკენ მოუწოდა. მისი განცხადების მიზეზი გახდა ასამბლეის სხდომაზე დაწყებული დისკუსიის დროს გამოთქმული ბრალდებები, რომელთა თანახმად, აზერბაიჯანის ხელისუფლება ადამიანის უფლებებს არღვევს.**



სამედ საიდოვმა ევროსაბჭოს ასე მიმართა: **„თქვენ ამბობთ, რომ აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული სიტუაცია არადამაკმაყოფილებელია, მე კი გეტყვით, რომ არადამაკმაყოფილებელი სწორედ თქვენი მოქმედებაა... განა ევროსაბჭომ არ მისცა რეკომენდაციები საქართველოს სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით? საქართველომ ყველაფერი გააკეთა, შეასრულა ის, რასაც ითხოვდით, საბოლოო ჯამში კი ტერიტორიები დაკარგა... უკრაინამაც ყველა თქვენი რეკომენდაცია შეასრულა, ამის სანაცვლოდ კი უბედურებაში აღმოჩნდა, დაკარგა ტერიტორია და ათასობით ადამიანის სიცოცხლე... იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვასთან დაკავშირებითაც“.**

**„იბადება კითხვა: რატომ გგონიათ, რომ აზერბაიჯანთან მიმართებით თქვენი რეკომენდაციები წარმატებულ შედეგამდე მიგვიყვანს? შეიძლება თქვენ თვითონ არასწორად მსჯელობთ? კარგი იქნებოდა, რომ იმაზე დაფიქრებულიყავით, თუ როგორი იმიჯი აქვს ევროსაბჭოს თავის წევრ-სახელმწიფოებს შორის“,** — აღნიშნა აზერბაიჯანის დელეგაციის მეთაურმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ წკეპლიკა

# „ხელები შორს ბალნეოლოგიურისაგან“!

## თბილისის ბალნეოლოგიური კურორტიდან გამოძევებულ ბ-ნ ნიკოლოზ სააკაშვილს



**ძალიან „შემაშფოთა“ დღევანდელი ხელისუფლების იმ გადაწყვეტილებამ, რომლითაც თქვენი „კუთვნილი“ ბალნეოლოგიური კურორტი უნდა გასხვისდეს.**

რაღა დაგიმალოთ, და „გული დამწვა“ ამ სისასტიკემ, გული დამწვა და თვალთაგან ცრემლი გადმომცვივდა, როდესაც წარმოვიდგინე, თუ რამდენი „იწვალეთ“, რამდენი ბიუროკრატიული ბარიერი „გადალახეთ“, სანამ ამ სახელმწიფო დაწესებულებას ხელში ჩაიგდებდით. უჰ, უკაცრავად, კალამი გამექცა. ხელში კი არ ჩაიგდეთ, არამედ იბრძოლეთ, რომ რომელიმე კორუმპირებული და ხალხის ხარჯზე გაქსუებული მაღალჩინოსნის ოჯახის წევრს ხელში არ ჩაეგდო...

დამერწმუნეთ, რომ ჩემთვის იოლია „უსამართლოდ დაჩაგრული“ ნიკოლოზ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების მიმართ ნათქვამი მკვახე სიტყვების გაგება, რადგანაც ზუსტად ეგეთ სიტყვებს ვამბობდით ამ შვიდი წლის წინათ გამომცემლობა „სამშობლოდან“ მართლაცდა უკანონოდ გამოძევებული 30 გაზეთის და უამრავი მცირე საწარმოს თანამშრომლები, ის ხალხი, ვინც უჭეროდ დავრჩით იმ მიზეზით, რომ ვინმე მიხეილ სააკაშვილი ქართულ გაზეთებს არ კითხულობდა და გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობა საკმაოდ მსუყე ლუკმად მიაჩნდა.

იმედს ვიტოვებ, რომ დღევანდელი ხელისუფლება არ შეგასევთ პოლიციის რაზმებს და თქვენი კაბინეტიდან ყოფილი პრეზიდენტის სურათის გამოტანის ნებას მაინც დაგრთავენ. თუ ასე არ მოიქცევიან, მაშინვე შეგვატყობინეთ და დამერწმუნეთ, რომ თქვენგან განსხვავებით ხმას ავიმაღლებთ ნებისმიერი უკანონობის წინააღმდეგ. გავაშუქებთ კანონისგან ნებისმიერ გადაცდომას, თუნდაც ეს გადაცდომა თქვენს მიმართ იყოს განხორციელებული. ბოლოს კი, ისღა დაგვრჩენია, რომ „წარმატება“ გისურვოთ „მუხლჩაუხრელი შრომით“ შეძენილი ქონების დაბრუნებაში.

**გიორგი გაბრიჭიძე,**
**ყოფილი პრეზიდენტის ხელდასხმით „სამშობლოდან“ გამოძევებული ჟურნალისტი**

◉ სოფელი წინ მიიწევს...

# დაფინანსებულია ხუთი ახალი საწარმო

**სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ხუთი ახალი გადამამუშავებელი საწარმო აჭარაში, გურიასა და სამეგრელოში აშენდება. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ „სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ფარგლებში პირველი ხუთი გრანტი გასცა: ახალ, ხილის გადამამუშავებელ საწარმოს შპს „კტმ აგრო ქედა“ ქედაში, აჭარის რეგიონში 1 მილიონ დოლარად ააშენებს.**

**გურიაში, ოზურგეთის რაიონში შპს „ანასეულის ექსპერიმენტალური ჩაის ფაბრიკა“ ხილის გადამამუშვებელ საწარმოს 971 961 აშშ დოლარად ააშენებს.**

**შპს „ჯი.ენ.კომპანი“ სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში თხილის მეორადი გადამამუშავებელი საწარმოს გახსნისთვის 557 412 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.**

**შპს „კტმ აგრო ჩოხატაური“ გურიაში, ჩოხატაურის რაიონში ხილის გადამამუშავებელ საწარმოს მშენებლობისთვის 1 000 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს.**

**სამეგრელოში, ზუგდიდის რაიონში კიდევ ერთი თხილის გადამამუშავებელი საწარმო 430 000 აშშ დოლარად აშენდება. დაფინანსებული პროექტის მთლიანი მოცულობა 200 000 — 1 000 000 აშშ დოლარამდე განისაზღვრა. ბენეფიციარის ფულადი თანამონაწილეობა პროექტის ღირებულების მინიმუმ 10%-ს უნდა შეადგენდეს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანადაფინანსების მაქსიმალური ოდენობა — 40%-ს, დანარჩენ 50%-ს ბენეფიციარი საფინანსო ინსტიტუტებისგან შეღავათიანი აგროკრედიტის პირობებით მიიღებს.**

**ინტერპრესი**

◉ არაშემთხვევითი განცხადებები



# „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა და რუსული პროექტები

**აზერბაიჯანული გამოცემა „კასპიის“ სტატიაში საუბარია დასავლური მასმედიის მიერ გახმაურებულ ინფორმაციაზე, რომლის თანახმად, თითქოსდა საქართველოს შეერთებული შტატებისთვის თავის ტერიტორიაზე სირიელი ამბოხებულების საწრთვნელი ცენტრის ჩამოყალიბება შეუთავაზებია.**

„ქართული საზოგადოება ბოლო ხანებში ორმა ახალმა ამბავმა ააღელვა: პირველი ისაა, რომ თითქოსდა თბილისს ვაშინგტონისათვის თავის ტერიტორიაზე სირიელი ოპოზიციური მებრძოლებისათვის მოსამზადებელი ბაზის შექმნა შეუთავაზებია, მეორეს თანახმად კი, თითქოსდა რუსეთი უახლოეს ხანში საქართველოსთან კონკრეტული ინფრასტრუქტურული და ენერგეტიკული პროექტების განხორციელებას აპირებს (რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის განცხადების მიხედვით), — ნათქვამია პუბლიკაციაში.

სტატიაში მოცემულია ქართველი ექსპერტების თვალსაზრისი ამ საკითხებთან დაკავშირებით:

პოლიტოლოგ ჯუმბერ კირვალიძის თქმით, რუსულ-ქართული ერთობლივი პროექტების განხორციელებაზე ლაპარაკი, უბრალოდ, ბლეფია, რადგან არავითარი ერთობლივი პროექტები არ არსებობს. „გრიგორი კარასინის მესიჯი პოლიტიკური კონიუნქტურითაა ნაკარნახევი: ამით მოსკოვი აჩვენებს დასავლეთს, რომ რუსეთი მზადაა საქართველოსთან, დიპლომატიური ურთიერთობის არარსებობის პირობებშიც კი, გიგანტური პროექტები, რაღაც ტრანსკავკასიური მაგისტრალების მშენებლობა განახორციელოს, ვთქვათ, დაღესტნის საზღვრის მონაკვეთზე. ცხადია, რომ თუ ორი ქვეყნის ურთიერთობა არ გაუმჯობესდება, ისე ვერავითარი პროექტები ვერ განხორციელდება. ბავშვისთვისაც კი გასაგებია, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოუგვარებლად არავითარ რუსულ-ქართულ მასშტაბურ თანამშრომლობაზე შეთანხმება არ მოხდება. რასაკვირველია, საქართველოს ტრანზიტული გზები სჭირდება, რუსეთთან დამაკავშირებლი ერთადერთი სატრანსპორტო კომუნიკაცია დარიალის ხეობაზე გადის, რომელიც არასტაბილურად მოქმედებს, რაც შეეხება სოხუმის (თბილისი-სამტრედია-სოხუმი-ფსოუ) და ცხინვალის (თბილისი-ცხინვალი-როკის გვირაბი) მიმართულებებს, ისინი კონფლიქტების გამო უფუნქციოდ არიან დარჩენილნი. აქედან გამომდინარე, საქართველოში კომუნიკაციური პროექტების განხორციელება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზეა დამოკიდებული. აშკარაა, რომ მოსკოვმა, უკრაინის კრიზისის ფონზე, რომელიც რუსეთ-დასავლეთის კონფრონტაციაშიც გამოიხატა, ჩათვალა, რომ საჭიროა კავკასიის მიმართულებით გააქტიურება, განსაკუთრებით კი საქართველოსთან მიმართებით. რა და როგორ განხორციელდება, სათქმელად ძნელია, თუმცა რუსეთის წინადადება, ალბათ, იგივე იქნება: „საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფასურად. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პროტესტებზე რეაგირებას რუსეთი თავის თავზე აიღებს“.

რაც შეეხება საქართველოში სირიელ ამბოხებულთა საწრთვნელი ბაზის შექმნას, ვფიქრობ, რომ თბილისი მხოლოდ ჰუმანიტარულ ასპექტებში მიიღებს მონაწილეობას. სამხედრო სახის თანამშრომლობა დიდ რისკებთანაა დაკავშირებული და შეიძლება ტერორისტული აქტების ტალღა გამოიწვიოს“, — ამბობს ჯუმბერ კირვალიძე.

პოლიტოლოგი თენგიზ აბლოთია ეჭვის თვალით უყურებს გრიგორი კარასინის მიერ გაჟღერებულ განცხადებას და ამბობს, რომ „ჩერქეზეთიდან და დაღესტნიდან საქართველოსაკენ გზების მშენებლობაში, ცხადია, საშიში არაფერია, მაგრამ ისიც ნათელია, რომ რუსეთს ეს კეთილი სურვილებით არ მოუფიქრებია, რაღაც ტყუილისა და ბლეფის სუნი ასდის. ვინ გაიყვანს გზებს რთული რელიეფის პირობებში და ვინ დააფინანსებს ამ პროექტებს? ამაზე ლაპარაკიც არ ღირს.

რაც შეეხება საქართველოს მონაწილეობას „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში, ვფიქრობ, ეს შეუძლებელია. ამერიკა „ერაყ-ლევანტის ისლამისტთა სახელმწიფოს“ პოზიციებს ჯერ მხოლოდ ბომბავს და იქნება თუ არა სახმელეთო ოპერაციები, არავინ იცის. ჩემი აზრით, საქართველო მხოლოდ სიმბოლურად მიიღებს მონაწილეობას, ამაზე უკვე ითქვა. კიდევ ერთი მომენტი, რომელიც საწრთვნელი ცენტრის გახსნა-არგახსნას შეეხება: მინდა ავღნიშნო, რომ: პირველი — ჯერჯერობით გაურკვეველია, იყო თუ არა ამაზე კონკრეტული მოლაპარაკება და თუ იყო, კონკრეტულად რაზე ისაუბრეს. მე პირადად „ფორინ პოლისს“ უფრო ვუჯერებ, ვიდრე ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ახლა, ამჟამად, ზუსტად არაფრის თქმა არ შემიძლია; მეორე — როგორც ჩემთვისაა ცნობილი, ვაშინგტონი ცდილობს, მოამზადოს პროდასავლური და ლოიალურად განწყობილი მებრძოლები არა იმდენად „ერაყ-ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ უფრო სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ. ნატოს უელსის სამიტზე საწრთვნელი ცენტრების მშენებლობის გადაწყვეტილება რომ მიიღეს, ეს ნიშნავს, რომ იქ სირიელი ამბოხებულების მომზადებაც შეიძლება. რატომაც არა? რა თქმა უნდა, ეს არ იქნება სპეციალურად სირიელების მოსამზადებელი ობიექტი... გვექნება ნატოს ცენტრი და თუ იქ ხანდახან ვიღაც სირიელები შემოირბენენ, ამით არაფერი დაშავდება, ეს შესაძლებელია“, — ამბობს თენგიზ აბლოთია.

**„ჯი-ეიჩ-ენი“**

# თავყრილობა გაეროში

**გაეროს გენერალური ასამბლეის მორიგი, ყოველწლიური სესია, ნელ-ნელა მისთვის ჩვეულ მონოტონურ საქმიანობაში გადაიზრდება. ასამბლეის კულმინაციური მომენტი — სახელმწიფო მეთაურთა, საგარეო საქმეთა მინისტრთა მონაწილეობით — ისტორიის კუთვნილებად იქცევა. მათი გამოსვლები, რაღაცის მთქმელი და არა იმისა, მსოფლიოს და საკუთარ ქვეყნებს რომ აწუხებთ, უმარილო კერძს ემსგავსება, მიირთმევთ, მაგრამ დაძალებით, მასპინძელს რომ არ ეწყინოს.**

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ სესიის ყურადღება მხოლოდ ორმა გამოსვლამ მიიპყრო — აშშ-ის და ირანის პრეზიდენტების. პირველის გამოსვლაში აღნიშნული იყო იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს წინაშე დგას. ობამას მიხედვით, ესენია: „ებოლას“ ეპიდემია, რუსეთის აგრესია ევროპის წინააღმდეგ და „ისლამური სახალიფო“, რომელიც ემუქრება, როგორც ახლო აღმოსავლეთს, ისე მთელ მსოფლიოს.

აშშ-ის პრეზიდენტის მიერ რუსეთის აგრესიის მეორე ადგილზე მოხსენიება სულაც არ არის გასაკვირი. ეს ქვეყანა შეტევაზეა გადასული რუსეთის წინააღმდეგ და მისი მტრად გამოცხადება — მოწოდებაა მთელი მსოფლიოსთვის, ისე შეაფასონ რუსეთი, როგორც ამერიკა აფასებს. პრეზიდენტ ტრუმენის თაყვანისმცემელი ობამას მიერ რუსეთის საყოველთაო მტრად გამოცხადება „სახელოვანი“ წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელებაა. სწორედ, ტრუმენ-ჩერჩილმა ჩამოაფარეს საბჭოთა კავშირს „რკინის“ ფარდა და მსოფლიოს აუწყეს „ცივი ომის“ დასაწყისი.

ობამას გაეროში გამოსვლა ახალი „ცივი ომის“ დასაწყისის მაუწყებელია.რას მოიგებს აშშ ახალი „ცივი ომით“? ან რას მოუტანს მსოფლიოს ამერიკის პრეზიდენტის მოწოდებაზე სწორება? ამ კითხვებს მალე გაეცემა პასუხი, მაგრამ მსოფლიო ისეთი აღარ იქნება, რაც დღემდე. დარწმუნებული ვარ იზოლაციაში მოქცეული რუსეთი ენერგიას არ დაიშურებს საკუთარი ეკონომიკისა და სამხედრო მშენებლობის განმტკიცებისთვის.

მეორე გამოსვლა ირანის პრეზიდენტის ჰასან როუხანისა იყო — პირში თქმა იმისა, რასაც სხვა ქვეყნები ამერიკის რიდით თუ შიშით ვერ ახერხებენ. როუხანიმ ამხილა დასავლეთის ორმაგი პოლიტიკა, რამაც ხელი შეუწყო „ისლამური სახალიფოს“ გაჩენას.

ზემოთ მოყვანილმა გამოსვლებმა გამოაფხიზლა დარბაზი და დააფიქრა დამსწრე საზოგადოება იმ პრობლემებზე, რომელთა გადაჭრა სწორედ იმ სახელმწიფოთა საქმეა, რომელთა წარმომადგენლებიც ავსებდნენ დარბაზს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ეს უდიდესი მსოფლიო ორგანიზაცია დღითი დღე კარგავს გავლენას და ავტორიტეტს. არადა, რამხელა სიბრძნე და მოლოდინი იყო ჩადებული დიდი სამეულის მიერ (სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი) ორგანიზაციის შექმნის საქმეში?! ვერც ერთი მათგანი ვერ იფიქრებდა, რომ მსოფლიო ორგანიზაცია და მისი უშიშროების საბჭო, სამეულის ერთ-ერთი წევრის ძალისხმევითა და მეცადინეობით ესოდენ არაეფექტიან ორგანიზაციად გადაიქცეოდა.

სამეული დიდ ყურადღებას უთმობდა არა მარტო გაეროსთვის აუცილებელი დოკუმენტაციის შემუშავებას, არამედ ისეთ საკითხებსაც — სად განთავსდებოდა გაერო, ევროპის რომელ ქვეყანაში. მხოლოდ სტალინის დაბეჯითებული მოთხოვნით, ორგანიზაციის შტაბ-ბინა აშშ-ს ქალაქ ნიუ-იორკში განთავსდა.

საბჭოთა კავშირის ლიდერებსა და საკუთარ მრჩევლებთან საკითხის არაერთგზის განხილვისას სტალინი თავის პოზიციას, გაეროს ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, მტკიცე არგუმენტით ასაბუთებდა — გაეროს წარმატებული მუშაობისთვის საჭიროა, ამერიკის მხრიდან, მეტი აქტიურობის გამოვლინება.

ორგანიზაციის ნიუ-იორკში განთავსება ზრდიდა მისდამი ამერიკის პასუხისმგებლობას. ასე ფიქრობდა სტალინი და მისი ვარაუდი ნაწილობრივ, მრავალი წლის განმავლობაში, გამართლდა.

სამოციანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, აშშ, მთავარი დონორი მსოფლიო ორგანიზაციისა, იწყებს გაეროსადმი ალმაცერად მზერას, მისი გვერდის ავლით მსოფლიო საქმის კეთებას. მავნე ტრადიცია 21-ე საუკუნეშიც გრძელდება, რასაც ზიანი მოაქვს მსოფლიო მშვიდობისთვის.

განსაკუთრებული ზერელობით უდგებოდა და უდგება პრეზიდენტების ბუშ-უმცროსისა და ობამას ადმინისტრაციები გაეროს საქმიანობას, რაც დიდ ზიანს აყენებს ამ ორგანიზაციას. სწორედ ამით არის გამოწვეული გაეროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი აგდებული დამოკიდებულება.

როდესაც სააკაშვილის ერთ-ერთი მინისტრი იაკობაშვილი საჯაროდ განაცხადებს, უშიშროების საბჭოს მიერ საქართველოს მისამართით მიღებული რეზოლუცია არაფერში გვავალდებულებს — წერონ და იკითხონო, რაღა უნდა ვთქვათ აშშ-ის ან სხვა დიდი ქვეყნების წარმომადგენლების აგდებულ დამოკიდებულებაზე?

როდესაც მსოფლიოს ჰეგემონი ქვეყანა ისეთ საკითხში, როგორიცაა სხვა ქვეყანასთან ომის გაჩაღება, ფეხზე იკიდებს გაეროს უშიშროების საბჭოს და დაუკითხავად ახორციელებს აგრესიას, თავისთავად კნინდება უშიშროების საბჭო. ავიღოთ თუნდაც ბოლო მაგალითი. აშშ-ის პრეზიდენტმა ობამამ, უშიშროების საბჭოს იგნორირებით დაიწყო სუვერენული სირიის ტერიტორიის დაბომბვა — „ისლამური სახალიფოს“ მოჯახედების განადგურების მიზნით.

ამერიკელებმა არათუ უშიშროების საბჭო, არამედ თვით სირიის ხელისუფლებაც არაფრად ჩააგდეს და ისე დასცხეს ტერორისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, როგორც გერმანიის ქალაქ დრეზდენს, ომის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე. მასირებულმა დაბომბვებმა ასამდე მოჯახედი გაანადგურა, თუმცა არც მშვიდობიანი მოსახლეობა დაინდო, მათ შორის ბავშვები.



პრეზიდენტ ობამას ნიუ-იორკში გამოსვლაც სწორედ ამ „ტრიუმფალური“ თავდასხმის ფონზე წარიმართა. მის სიტყვაში ხაზგასმით იყო ნათქვამი დაუნდობელი ომის თაობაზე ტერორიზმის წინააღმდეგ.

ობამამ თქვა თავისი სათქმელი, სხვებმაც თქვეს, თუმცა, სწორებით ობამაზე და არა მსოფლიოში შექმნილ ვითარებაზე. თავში არც არავის მოსვლია რუსეთის გამოქომაგება. შეიძლება მოუვიდათ, მაგრამ მოერიდათ თქმა — რას იტყვის ამერიკაო.

ამერიკამ, ობამას პირით, თქვა ის, რასაც კარგა ხანია, აკეთებს. ამერიკა არის განსაკუთრებული, გამორჩეული ლიდერი სახელმწიფო. მხოლოდ მას აქვს უფლება გადადგას სამხედრო ნაბიჯი მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში დაუკითხავად, თუკი ამას მოითხოვს აშშ-ის სტრატეგიული ინტერესები. ვინც ამ მოსაზრების წინააღმდეგია, დაისჯება.

> **აშშ-მა, უკრაინული ფაშიზმის აღორძინებით, დიდი ქაოსი და დაპირისპირება გააჩინა უკრაინაში და არა მარტო იქ. ეს ქაოსი (ფაშისტური) ევროპისკენაც გადაინაცვლებს და ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავზე აღორძინებულ ფაშიზმს იხილავს ამერიკელთა მიერ დაკოდილი უთავმოყვარო ევროპა.**

ობამამ ისიც განაცხადა, რომ ხელს შეუწყობს და დაეხმარება ბაშარ ასადის წინააღმდეგ მებრძოლ ზომიერ ძალებს იარაღით, ფულით და ა.შ.

„ზომიერი“ ტერორიზმის ცნება გაუგებარია, ვინაიდან სისტემატურად ხდება „ზომიერ“ მოჯახედთა გაექსტრემისტება, პირიქით კი — მსგავსი არ ყოფილა.

ობამას სიტყვიდან გამომდინარე, აშკარაა ორმაგი სტანდარტისთვის თავზე ხელის გადასმა. სწორედ, ამ ორმაგმა სტანდარტმა გამოიწვია თავის დროზე „ალ-ქაიდასა“ და „თალიბანის“ დაბადება, ამჟამად „ისლამური სახალიფოს“ შექმნა.

„ისლამური სახალიფოს“ შექმნის მთავარი მიზანი სირიის პრეზიდენტისა და ხელისუფლების ჩამოგდება იყო. ამ „კეთილშობილურ“ პროექტში ამერიკელი სენატორი მაკკეინიც იღებდა მონაწილეობას. ცრუობს მაკკეინი, როდესაც ამბობს, „სახალიფოს“ ხალიფასთან ალ-ბაღდადისთან და სხვა ტერორისტებთან გადაღებული ფოტოსურათი შემთხვევითია — იქ ყოფნის დროს მთხოვეს და გადავიღეო, ისე, რომ არც კი ვიცოდი ვინ იყვნენო. მტყუანს!

მიზანი მაკკეინის ვიზიტისა იყო ის, რომ „ალ-ქაიდას“ ფილიალის „ალ-ნუსრას“ ექსტრემისტული სალაფიტების ძალისხმევა ბაშარ ასადის საწინააღმდეგოდ მიემართა. უკვე მერამდენედ ხდება საკუთარი, ანუ ამერიკული ძუძუნაწოვი შვილების, აშშ-ის წინააღმდეგ ამხედრება?! მიუხედავად ამისა, აშშ აგრძელებს მზაკვრულ პროგრამს, რაც ობამას ნათქვამშიც გამოჩნდა — „ზომიერი“ მოჯახედების დახმარება სირიის ხელისუფლების საწინააღმდეგოდ.

და როდესაც გაეროს მაღალი ტრიბუნიდან აშშ-ის პრეზიდენტი სირიის ტერიტორიის „ტრიუმფალურ“ დაბომბვაზე ლაპარაკობდა — კიდევ ერთი ადამიანის მოჭრილი თავი გაგორდა. ექსტრემისტებმა საფრანგეთის მოქალაქე გაისტუმრეს საიქიოში, ანტისახალიფოს კოალიციაში საფრანგეთის შესვლის გამო.

ზოგი შემედავება — რა ქნას ამერიკამ, ტერორიზმს არ ებრძოლოსო? ცხადია, უნდა ებრძოლოს, მაგრამ ბრძოლამდე, არ უნდა შექმნას. უკვე ნაშობთან და დავაჟკაცებულთან ბრძოლა ძნელია.

„ისლამური სახალიფოს“ შექმნით აშშ-მა ახალი ძალით ააღორძინა ახლო აღმოსავლეთის დაპირისპირება. „სახალიფოსთან“ ომი არც დაბომბვებით დამთავრდება და არც სახმელეთო ჯარის ჩართვით. ადამიანებთან, რომელთათვის სიკვდილი არაფერია, პირიქით გზაა სამოთხისკენ, ჭირს ბრძოლა. დაბომბვები გაზრდის ტერორისტთა ქმედებას, თან არა მარტო ახლო აღმოსავლეთში.

თანამედროვე ამერიკის პოლიტიკაში არსებული სერიოზული შეცდომები, იქნებ სულაც არ არის შეცდომა? იქნებ მიზანი — ვითარების არევაა და მეტი არაფერი? და არეულობაში ხელის ფათური?

გასულ წელს, სწორედ ამ დროს, ბარაკ ობამას გადაწყვეტილი ჰქონდა სირიის მასირებული დაბომბვა. მაშინ ეს გეგმა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ჩაშალა. ამ უკანასკნელმა, თავისი წინადადებით, ობამა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა და ხელი აალებინა საჰაერო აგრესიაზე.

ვაშინგტონმა ვერა და ვერ მოინელა დათმობა და რუსეთს ისეთი რამ აუგორა (უკრაინის სახით), თავბედი აწყევლინა. უკრაინის გადაგვარების, ანუ ამერიკულად „გადემოკრატების“ 23-წლიანმა გეგმამ 2014 წელს მიაღწია პიკს. ამერიკელთა მიერ გაწვრთნილმა ოპოზიციამ, შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალების გზით, ხელში ჩაიგდო ხელისუფლება და დაიწყო ზომიერ უკრაინელთა და რუსული წარმოშობის ადამიანთა რეპრესიები.

ჩვეულებრივად იქცა „სვასტიკიანი“ ახალგაზრდების თავდასხმები ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე, ყოფილ მოხელეთა საჯარო ცემა, შეურაცხყოფა, რუსული საინფორმაციო საშუალებების დახურვა, რუსული საწარმოების დარბევა, რუსი მოსახლეობის ხოცვა. სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში კიევის ჯარისა და ეროვნული გვარდიის მიერ ჩადენილი დანაშაული ისეთია, ფაშისტებსაც რომ შეშურდებოდათ.

გენერალური ასამბლეის გახსნის დღეს „აიდარისა“ და „აზოვის“ სადამსჯელო ჯარების მიერ დატოვებულ ტერიტორიებზე დონეცკის მოსახლეებმა „ძმათა სასაფლაო“ აღმოაჩინეს, უფრო სწორედ „დათა სასაფლაო“, ვინაიდან მიწაში ჩაფლული გვამები, ხელშეკრული და თავმოკვეთილი ქალებისა იყო. გვამთა დიდ ნაწილს შიდა ორგანოები ამოჭრილი ჰქონდათ.

„სასაფლაო“ ნახეს და გადაიღეს „ეუთოს“ მისიის წარმომადგენლებმა. რუსეთის დუმა მოითხოვს ამ გენოციდის საერთაშორისო კომისიის მიერ შესწავლას და ჰააგის სასამართლოში საქმის აღძვრას.

ყველა რუსული არხი ლაპარაკობს ამ საზარელ ამბავზე. არც ერთი გამოხმაურება დასავლურ მედიაში, ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციებში. დუმან ვაშინგტონი, ბრიუსელი, თითქოს ეს საშინელება დედამიწაზე არ მომხდარა.

რა გაეწყობა, ევროატლანტიკურმა ორმაგმა სტანდარტებმა იცის ყოველივე ეს. მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ უკრაინაში ომი მძვინვარებდა, დასავლეთ-უკრაინაში ნატო ატარებდა სამხედრო წვრთნებს „აიდარის“, „აზოვის“, „ეროვნული გვარდიის“ მებრძოლებისთვის. წვრთნებში ქართველებიც იღებდნენ მონაწილეობას, ცხადია ბალტიისპირელებთან ერთად.

უკრაინის სახით შეიქმნა უდიდესი ქაოსი, რომელიც განადგურებას უქადის ამ ქვეყანას, მაგრამ დიდ პრობლემებს უქმნის რუსეთს. აშშ-მა ახლო აღმოსავლეთში „ისლამური სახალიფოს“ „უნებლიე“ შექმნით, ისედაც პრობლემებიან ახლო აღმოსავლეთს ცეცხლზე ნავთი დაასხა, უკრაინამ — ევროპას, განსაკუთრებით რუსეთს უდიდესი თავსატკივარი გაუჩინა.

აშშ-მა, უკრაინული ფაშიზმის აღორძინებით, დიდი ქაოსი და დაპირისპირება გააჩინა უკრაინაში და არა მარტო იქ. ეს ქაოსი (ფაშისტური) ევროპისკენაც გადაინაცვლებს და ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავზე აღორძინებულ ფაშიზმს იხილავს ამერიკელთა მიერ დაკოდილი უთავმოყვარო ევროპა.

ნაცვლად იმისა, რომ უკრაინის მოვლენები ობიექტურად შეაფასონ, ევროპელი „პოლიტიკოსები“, თვალებში შესციცინებენ ობამას და ისე იქცევიან, როგორც მას სურს. ევროპას ვერაფრით გაუგია, რომ აშშ ქვეშევრდომად განიხილავს მას და არა თანაბარ პარტნიორად. სამწუხაროდ, კრემლსაც ასე მიაჩნდა და დღემდე დასავლეთს „პარტნიორად“ მოიხსენიებს. გინახავთ ვინმეს, ერთ პარტნიორს მეორე პარტნიორის მოგუდვა უნდოდეს?

გენერალური ასამბლეის მუშაობაში საქართველოს დელეგაციაც იღებდა მონაწილეობას. ობამას მიერ მოწყობილ წვეულებაზეც იყო მიწვეული. ფანჯიკიძის თქმით, დელეგაციის ხელმძღვანელი ღარიბაშვილი ობამასაც დაელაპარაკა. „მოკლედ მიმოიხილეს ამბებიო“ — ყურში ჩაგვძახოდა ჩვენი მედია, ისე, როგორც სააკაშვილის დროს.

გენერალური ასამბლეის გახსნას ჩვენთვის ერთი საინტერესო რამ დაემთხვა. საინტერესო კი არა, საგანგაშო, შემედავება მკითხველი. აშშ-ში საქართველოს ელჩმა გეგეშიძემ ერთ-ერთ ინტერვიუს დროს გამოთქვა მზადყოფნა — საქართველოში ანტიტერორისტული საწვრთნელი ბაზის გახსნის თაობაზე, სადაც ამერიკელები გაწვრთნიან ექსტრემისტი ისლამისტების წინააღმდეგ მებრძოლებს. მოგვიანებით იმავე გეგეშიძემ ბრძანა, არ მითქვამსო და ჟურნალისტი დაადანაშაულა ნათქვამის დამახინჯებისთვის.

ასეა თუ ისე, ამ ამბავს დიდი გნიასი მოჰყვა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ამერიკული ანტიტერორისტული ბაზა საქართველოს თავისთავად გადააქცევს ტერორისტთა სამიზნედ, თუმცა, არის რამე ახალი ამაში? არც არაფერი. თვით ამერიკელთა განცხადებით, სააკაშვილის დროს იწვრთნებოდნენ სირიაში მეომარი ისლამისტები. ისინი დღეს „ისლამური სახალიფოს“ „არმიის“ რიგებში იბრძვიან.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## ⊙ ინფორმაცია

### დაიწყო გურჯაანის მაგისტრალური წყალსადენის რეაბილიტაცია

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან“ აცნობეს, პროექტის ღირებულება 3, 5 მილიონ ლარამდეა და ის ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.**

**კომპანიის ინფორმაციით, სახელმწიფო ტენდერის შედეგად გამარჯვებული კომპანია „სპეცჰიდრომშენი“ გამოვლინდა, რომელიც გურჯაანში სარეაბილიტაციო სამუშაოებს ჩაატარებს. სამუშაოები პროექტის მიხედვით, 2016 წელს უნდა დასრულდეს.**

**„გურჯაანში იგეგმება დაახლოებით 14,5 კმ. სიგრძის მაგისტრალურ ქსელის რეაბილიტაცია, სამუშაოებზე 200-მდე ადამიანი დასაქმდება. პროექტის დასრულების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება გურჯაანის წყალმომარაგება, შემცირდება წყლის დანაკარგები და გაუმჯობესდება წყლის ხარისხი. მოსახლეობის 100% უზრუნველყოფილი იქნება 24-საათიანი წყალმომარაგებით“, — აცხადებენ „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“.**

ღვაწლი

# გამოჩენილი მამულიშვილი

## აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე – 100



**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი არქეოლოგი ანდრია მელიტონის ძე აფაქიძე დაიბადა 1914 წლის 3 სექტემბერს საქართველოს უმშვენიერეს კუთხეში — სამეგრელოში, სოფელ ზანაში, ტრადიციულ არისტოკრატიულ ოჯახში. ოთხი წლისაც არ იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და ოჯახის მართვის სიმძიმე დედამ იტვირთა. ის მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა შვილებისათვის შესაფერისი განათლება მიეცა. 1932 წელს ანდრიამ დაამთავრა ახალსენაკის (ქ. ცხაკაია) პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. ნიჭიერმა ახალგაზრდამ მალე მიიპყრო თავისი პროფესორ-მასწავლებლების ს. ჯანაშიას და გ. ნიორაძის ყურადღება.**

ამ დროს საქართველოში პროფ. გ. ნიორაძის გარდა, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო, პროფესიონალი არქეოლოგები თითქმის არ არსებობდნენ. მათი მომზადება იტვირთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი პროგრამით. ანდრია აფაქიძე გახლდათ არქეოლოგიის კათედრის პირველი ასპირანტი, ანუ როგორც მაშინ იტყოდნენ „დატოვეს უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად“.

მან სრულად გაამართლა თავისი დიდი მასწავლებლების პროფ. ს. ჯანაშიასა და გ. ნიორაძის იმედი. ბატონმა ანდრომ 1941 წლის 21 მაისს ძველი თაობის არქეოლოგებს შორის პირველმა წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ბაკურციხის არქეოლოგიური ძეგლები“. მან პირველმა ქართველ არქეოლოგთა შორის მოიპოვა „ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის „ხარისხი“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მის მიერვე გათხრილი გვიანბრინჯაოს ხანის უნიკალური არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაწერილ გამოკვლევას, მონოგრაფიას დღემდე არ დაუკარგავს სამეცნიერო ღირებულება. სამწუხაროდ, მთელი არქეოლოგიური მასალა გასული საუკუნის 50-იან წლებში, თბილისის ცნობილი წყალდიდობისას, განადგურდა. ამიტომ აუცილებელია, საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული დისერტაციის ამ ერთადერთი ეგზემპლარის გამოქვეყნება. ეს საქმე ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რექტორი, აკად. ვ. პაპავა) უნდა იტვირთოს.

1937-1941 წწ. ბატონი ანდრია აფაქიძე უნივერსიტეტის ასპირანტი გახლდათ. ის კითხულობდა ლექციებს არქეოლოგიაში (მათ შორის „წინა აზიის არქეოლოგიის“ კურსს) უნივერსიტეტის არა მარტო ისტორიის ფაკულტეტზე. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცულია ასპირანტ ა. აფაქიძის პირადი საქმე, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა მას სწავლა და საარსებო საშუალების მოპოვება. არ შეიძლება, განსაკუთრებით არ აღინიშნოს მისი აღმზრდელების ს. ჯანაშიასა და გ. ნიორაძის მზრუნველობა ხელმოკლე ასპირანტის მიმართ. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის №958 ბრძანებით, 1935 წლის შემოდგომაზე თბილისში დაარსდა „თბილისის არქეოლოგიური-კვლევითი ინსტიტუტი“, რაც განაპირობა „სოციალისტური აღმშენებლობების“ მასშტაბების ზრდამ, ამას მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენები მოჰყვა. საჭირო ხდებოდა შესაბამისი სპეციალისტების მობილიზაცია.

ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა პროფ. გიორგი ნიორაძე, შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ეს გახლდათ პირველი სპეციალიზებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომელიც იკვლევდა საქართველოს წარსულს არქეოლოგიური მასალების, არტეფაქტების შუქზე. მას ეძლეოდა უფლება საქართველოს მიწა-წყალზე არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა. არქივმა შემოგვინახა პროფ. გ. ნიორაძის 1935 წლის 1 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც ის მაშინდელი განათლების სახალხო კომისარ აკ. თათარიშვილს თხოვს ინსტიტუტში 1 დეკემბრიდან უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მიიღოს ა. აფაქიძე. თხოვნა დაკმაყოფილდა, რამაც ახალგაზრდა მეცნიერი საარსებო საშუალებით უზრუნველყო. ამ ინსტიტუტის რეფორმირება-რეორგანიზაციის შემდეგ, პროფ. სიმონ ჯანაშიამ, შემდგომში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ანდრია ახლად შექმნილი კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების — ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-მუშაკად მიიღო.

აქედან იწყება ბატონ ანდრია აფაქიძის სვლა მეცნიერების მწვერვალებისაკენ. ომგადახდილი ახალგაზრდა კაცი ინიშნება მეტად დიდი ეროვნული მნიშვნელობის მქონე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად. ბატონი ა. აფაქიძე ამ მუზეუმს სათავეში ათზე მეტი წლის განმავლობაში (1943-1953 წწ.) ედგა. ხელმძღვანელობდა „დიდი მცხეთის“ არქეოლოგიური ექსპედიციების სხვადასხვა უბნებს. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს პერიოდი ქართული არქეოლოგიის ოქროს ხანა იყო. იგი მეთაურობდა არმაზციხე-ბაგინეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, რომელიც დიდი არქეოლოგიური აღმოჩენებით აღინიშნა. 1936-1946 წწ. მცხეთაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგებს მიეძღვნა ა. აფაქიძის, გ. გობეჯიშვილის, ალ. კალანდაძის და გ. ლომთათიძის კოლექტიური მონოგრაფიის კაპიტალური ტომი — მცხეთა I (თბ., 1955), რომელმაც მსოფლიო არქეოლოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. ამ პუბლიკაციამ სათავე დაუდო მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამეცნიერო ანგარიშების მთელ სერიას, რომელიც 1978-1996 წწ. გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, რაც ჩვენი მეცნიერების ძვირფასი შენაძენია, ისევე, როგორც მისი მრავალწლიანი შრომის შედეგი — ჩვენში და ყოფილ საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი მისი მონოგრაფია — „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (თბ., 1963). ამ გამოკვლევისთვის მას თავისი ძვირფასი მოძღვრის აკად. ს. ჯანაშიას პრემია მიენიჭა. საყოველთაო აღიარება მოიპოვა ბატონ ანდრია აფაქიძის კვლევამ აფხაზეთში, კერძოდ, „დიდი პიტიუნტის“ გათხრებმა ბიჭვინთაში. მისდამი მიძღვნილი გამოკვლევებისა და გათხრების სამეცნიერო ანგარიშების სამი შთამბეჭდავი ტომი ჩვენი არქეოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, ისევე, როგორც მისი ნაშრომები, მიძღვნილი ანტიკური ხანის ქართლის (იბერიის) ქალაქების ლოკალიზაციისადმი.

ბატონმა ანდრომ პირველმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ქართველ არქეოლოგთა შორის. ის იყო პირველი არქეოლოგი აკადემიკოსი, ვიცე-პრეზიდენტი. ამასთან დაკავშირებით ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ (1994 წლის № 1), რომელიც, სამწუხაროდ, აღარ გამოდის, სამართლიანად წერდა: „განგებამ ბატონ ანდროს პირველობა დააკისრა“. ის გახლდათ პირველი საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს „საქართველოს არქეოლოგიის“ რედაქტორი და თანაავტორი. პირველი „არქეოლოგიური ლექსიკონის“ შემდგენელ-რედაქტორი (თსუ, 1980), მცხეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის დამაარსებელი (გ. ნიორაძის სახელობის ინსტიტუტი დღეს აღარ არსებობს, საჭიროა ვიზრუნოთ მის აღდგენაზე). მან დიდი ამაგი დასდო ახალგაზრდა არქეოლოგთა კადრების მომზადებას საქართველოში. მისი ინიციატივითა და თაოსნობით დაინერგა კომპიუტერული სისტემები არქეოლოგიის დარგში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა არქეოლოგიის საინფორმაციო ცენტრი.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის ღვაწლი არქელოგიაში განუზომელია. მისი შრომა სათანადოდ შეაფასა ჩვენმა ქვეყანამ. ის იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რამდენიმე ორდენისა და საბრძოლო მედლების კავალერი, თბილისის საპატიო მოქალაქე, შესანიშნავი შვილების და შვილიშვილების მამა და ბაბუა. რაოდენ სიმბოლურია, რომ გარდაცვალების შემდეგ, 2005 წელს მას საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთის წმინდა მიწაზე, სამთავროს მონასტრის ეზოში მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი. მცხეთის შესწავლას ხომ მან მთელი თავისი სიცოცხლე მიუძღვნა. დიდია მისი დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

კაკალ გულში

# ნერტილოვანი ფრაზები

● ძველით 1 ოქტომბრამდე დარჩა 14 დღე.

● გარდა იმისა, რომ გვჩინჩლავს, სხვა რა სარგებლობა მოაქვს ევროსაბჭოს?!

● სტრასბურგში რეზოლუცია გავიდა ისე, როგორც ნაცებს უნდოდათ. გავიდა ნაცების ყველა შესწორება, თითქოს და პოლიტიკურ დევნაზე, წინასწარ პატიმრობებზე, ნაცების, როგორც, ვითომდა ოპონენტების დაჭერებზე....

ეს რა ქენით? თქვენ აქ ჭიდაობდით — არა მე წავალ, არა მეო და ისინი იქ მუშაობდნენ...... ჯანდაბაშიც წასულხართ..... ოეეეე დელეგაცია, თედო ჯაფარიძე, ირაკლი ჩიქოვანი, ჩიორა თაქთაქიშვილი, ლევან ბერძენიშვილი, გუგული მაღრაძე, თინათინ ბოკუჩავა, ეკა ბესელია და გიორგი კანდელაკი — გაწყდით ერთ დღეს.

● მე არ მინდა ხაბაზი, ქალი მინდა ლამაზი.
(ხალხური)

● არადა, იმ დღეს ვნახე, იჯდა და ყურებს აპარტყუნებდა.

● მამუკა გამყრელიძეს ჯერ არ დაუწყია ხაბაზისთვის ყურის შეგროვება?




● ისე ეს მივარდნები, მოვარდნები, „რა დროს ეგ არი“ მოთხოვნები, რაღაცნაირი გაუგებარი მსვლელობები და... რაც მთავარია (მ)აქციები და ა.შ. რომ დასრულდეს არა? ვის წისქვილზე ეშვება ეს წყალი, არაა ნათელი და ცხადი?

● დავით საგანელიძე — „ხალხი ქუჩაში ღიმილიანი დადის.....“

დადის და სულ ღიმილით გიტრიალებთ მკვდარს და ცოცხალს!

● ნუ გადაყვებით და ნუ გადააყოლებთ თქვენს და სხვის შვილებს „მაინც დავბრუნდებით“ ბოდვას... მილიონი სფეროა ქვეყანაში, მიდექით-მოდექით, იპოვეთ საკუთარი თავი — მიშამდე ხომ გქონდათ რაღაც პროფესია? ხოდა, გაიხსენეთ... დამიჯერეთ, თორემ გნახავენ ტრასაზე ზოგ-ზოგიერთებივით, 30 წლის შემდეგ — „ივანიშვილი იუდას“ ძახილში, თან ნახევარი ქვეყანა რომ ვერ მიხვდება რა გინდათ, ისე...

● მთავრობა ისევ მილიარდობით აპირებს საგარეო ვალის აღებას...

ყველა დამეთანხმება, რომ თუკი წარმოებაში არ იქნა დაბანდებული ვალად აღებული ყველა დოლარი, ცხოვრება უფრო გაუარესდება და რიგით მოსახლეობას მოუწევს იმ ვალის გადახდა სხვადასხვა საქონელზე, თუ პროდუქციაზე გაზრდილი ფასებით!

არავის დაავიწყდეს, რომ უახლოეს წლებში დგება აქამდე აღებული (ფაქტობრივად შეჭმული) მილიარდობით დოლარის პროცენტების გადახდა!

მალე სერიოზული პრობლემები შეექმნება „ქართულ ოცნებას“!

● არც ერთი ნაცი ორი ყურით, ვაცხადებ ნაცების გლობალურ ვანგოგიზაციას!

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძემ**

ინფორმაცია

# ლიცეუმს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელი მიენიჭა

**გუშინ** ქუთაისში კადეტთა სამხედრო ლიცეუმისათვის გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელის მინიჭებისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი.

ღონისძიებაზე თავდაცვის მინისტრმა, გენერალური შტაბის უფროსმა და პარლამენტის თავმჯდომარემ სიტყვით მიმართეს ლიცეუმის წევრებს.

ცერემონიაზე, თავდაცვის მინისტრის ბრძანებით, საბრძოლო მომზადებაში მიღწეული წარმატებებისა და ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისათვის გენერალ კვინიტაძის მედლით 10 სამხედრო მოსამსახურე დაჯილდოვდა.



ვინ მიდის ფორუმზე?

# „სიტყვა „დავოსის“ წარმოთქმისთვის დაწესდეს ჯარიმა ბიუჯეტის სასარგებლოდ“

**წავა თუ არა პრეზიდენტი დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე, საბოლოო გადაწყვეტილებას პრეზიდენტი გრაფიკის შესაბამისად მიიღებს. პრეზიდენტის მრჩეველი ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილი აცხადებს, რომ ამ საკითხზე მსჯელობა არ ყოფილა. მისი თქმით, როდესაც პრეზიდენტს აქვს მოწვევა, მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს, მიიღებს თუ არა მონაწილეობას, რანგიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.**

„საქართველოს პრეზიდენტის და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის თავმჯდომარის კლაუს შვაბის შეხვედრა შედგა, სადაც საუბარი შეეხებოდა საქართველოს საინვესტიციო შესაძლებლობებს, საინტერესო აქცენტი გაკეთდა საქართველოს უპირატესობებზე, ქვეყნის ინვესტორებისთვის მიმზიდველობაზე. შვაბმა პრეზიდენტს სთხოვა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობა“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

მისივე განმარტებით, შვაბისა და მარგველაშვილის შეხვედრა თურქეთში შედგა.

საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე მიწვევა ჯერ კიდევ 14 მაისს მიიღო და მისი მონაწილეობა უკვე დადასტურებულია.

„არაფერი ვიცი იმის შესახებ, რა საუბარი ჰქონდა პრეზიდენტს თურქეთში. არ ვესწრებოდი შეხვედრას, მაგრამ ვიცი ის, რომ პრემიერ-მინისტრმა დავოსში ეკონომიკურ ფორუმზე დასასწრებად მიწვევა ჯერ კიდევ 14 მაისს მიიღო და მისი მონაწილეობა უკვე დადასტურებულია“, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ეკონომიკური ფორუმი შვეიცარიის ქალაქ დავოსში იმართება. მიმდინარე წელს დავოსის ეკონომიკურ ფორუმს ქართული მხრიდან პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრება, 2013 წელს კი - ბიძინა ივანიშვილი ესწრებოდა. ვიცე-პრემიერ კახა კალაძის აზრით, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უნდა გაემგზავროს. ვიცე-პრემიერის მსგავსად, დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე პრემიერის გამგზავრებას მიზანშეწონილად მიიჩნევს ეკონომიკის ექსპერტი გია ხუხაშვილი თუმცა, თვლის, გარკვეული ჯგუფი მიზანმიმართულად ახდენს თემის პროვოცირებას, რაც ხშირ შემთხვევაში პრემიერს აზარალებს.

„დისკუსია ამ თემაზე, ვინ წავა, არასერიოზულია. როგორც ჩანს, ეს ადამიანები არა თუ სხვის შეცდომებზე, არამედ საკუთარ შეცდომებზეც ვერაფერს სწავლობენ. არ მესმის, რატომ ხდება სიტუაციის ასეთი დაძაბვა. ჯერ არ მოგვისმენია პრეზიდენტის პოზიცია, შესაძლებელია, თვითონ პრეზიდენტი ამბობს წასვლაზე უარს და ამბობს, რომ პრემიერი უნდა წავიდესო. რა საჭიროა ეს კომენტარები, რომ იმას უკვე მიუღია გადაწყვეტილება და ჩვენ უკვე გავაგზავნეთ, ეს წინასწარ დაჯავშნვა იწვევს ამ იწილო-ბიწილოს“, — აცხადებს გია ხუხაშვილი.

მისივე განცხადებით, პრეზიდენტსა და პრემიერს შორის პრობლემებს და დაძაბულობას გარემოცვები ქმნიან. რომ არა პრემიერისთვის ერთგულების მტკიცება, თავად გაერკვეოდნენ პრემიერი და პრეზიდენტი ვითარებაში.

„არ მინდა შეთქმულების თეორიაზე ვისაუბრო, მაგრამ არის ჯგუფი, რომელიც ამას აკეთებს. ფაქტია, რომ ამ ყველაფერს უარყოფითი შედეგი მოაქვს, როგორც ხელისუფლების პოლიტიკური ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე სახელმწიფოებრივად აბსოლუტურად არასერიოზულია. ასეთ თემებში პრეზიდენტი ყოველთვის კონსტრუქციულია. მედიაშიც ხდება ამ თემების ხელოვნურად გაბუქება, მერე მთავრობიდან ვილაცა აკეთებს კომენტარს და იწყება ვითარების ესკალაცია. მაინც მაქვს იმედი, რომ ეს არ სცდება რაღაცა ძალიან პირადს - ერთგულების მტკიცებას პრემიერისათვის“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას გია ხუხაშვილმა.

ეკონომიკის ექსპერტი, პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი კი ინიციატივით გამოდის, რომ სიტყვა დავოსის ხმარებაზე ჯარიმა დაწესდეს ბიუჯეტის სასარგებლოდ. პოლიტოლოგი ამბობს, რომ ქვეყნის სირცხვილია, თუ საჯარო განხილვის თემა იქნება ვინ წავა დავოსის ეკონომიკურ ფორუმზე.

„მე გონია, რომ უნდა მივცეთ საშუალება პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს თავად ისაუბრონ ამ თემაზე. თემის ტირაჟირებისგან თავი შეიკავოს საგარეო საქმეთა მინისტრმა და პრეზიდენტის ადმინისტრაციამ. ეს ორი ახალგაზრდა მმართველი უკეთ გაარკვევს ურთიერთობას და უპრიანი იქნებოდა პოლიტიკოსებმაც საკუთარ საქმეს მიხედონ და ნუ ჩაერთვებიან სამარცხვინო საჯარო ჭორაობაში. არ გვაქვს იმის ფუფუნების უფლება, რომ საქმის ნაცვლად ნაცარქექიობა დავიწყოთ.

თხოვნა მექნება მედიისთვისაც, უფრო მეტი პატივი სცენ საკუთარ პროფესიონალიზმს და ასეთი თემის აგორებით ნუ იქნება დაკავებული ყველა გაზეთი და ყველა სატელევიზიო არხი. თუ მაინცდამაინც ეს თემა ვინმეს აინტერესებს, აგერ ბატონო „ვაკის პარკი“, „კუს ტბა“ დასხდნენ და იჭორაონ რამდენიც უნდათ“, — ამბობს ცისკარიშვილი.

კითხვაზე, ვინ უნდა წავიდეს დავოსში, სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ უნდა წავიდეს ის, ვისაც მოწვევა აქვს მიღებული. მისივე თქმით, მოწვევის გარეშეც დადის ხალხი ასეთ ფორუმზე, თუ მინიმუმ 6 ან 7 ნული აქვს საკუთარ ანგარიშზე ციფრის უკან მიწერილი.

„ამიტომ, ცხადია, რომელიმეს არ წასვლას, სჯობია, ორივე წავიდეს, იურთიერთონ, იმეგობრონ, სალაპარაკო და გასაკეთებელი კიდევ იმდენია, რომ გინდა თუ არა მე გავაკეთებ და შენ არ გააკეთოო, ამის ფუფუნება არ გვაქს. ოღონდ, ნუ დაიწყება საუბარი ღარიბ ქვეყანაზე, რომელსაც არ ძალუძს ორი ადამიანის მივლინება. მაშინ, როდესაც მოწმენი გავხდით გაეროში პრემიერის ამალაში სხვადასხვა ფუნქციით დატვირთული 8 მინისტრი იყო და ბოლოს, მეცხრემაც ჩათვალა — სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო და ფეხბურთის სათამაშოდ დაიძრა საწინააღმდეგო მიმართულებით. ამიტომ, საშუალება გვაქვს ორი, ოთხი და სამოცი ადამიანის გამგზავრების. ამასთან, მეტ-ნაკლებად, კონკრეტული და კორექტულები ვიყოთ საკუთარი შეფასებებისას“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

ასოციაცია

# მიზანი - მესხეთის წინსვლა, წარმატება!



**ამ დღეებში თბილისის ტურიზმის აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა ასოციაცია მესხეთი — 2001“-ის შემადგენლობის მორიგი სხდომა. მონაწილეებმა უპირველესად, ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს ასოციაციის დამფუძნებლების: ბიჭიკო სარიშვილის, გურამ შონიას, აგრეთვე სერგო ყურაშვილისა და გურამ მექვაბიშვილის ხსოვნას.**

განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. ასოციაციის პრეზიდენტად 7 წლის ვადით არჩეულია პროფესორი ამირან მექვაბიშვილი, ვიცე-პრეზიდენტებად ამირან დურგლიშვილი, აკაკი თამაზაშვილი, ავთანდილ მექვაბიშვილი, გივი მერაბიშვილი, პავლე ნარიმანიშვილი, ლიანა ხმალაძე, მდივანი — ციცინო ინდუაშვილი.

ასოციაციის მიერ მიმდინარე წელს ჩასატარებელი ღონისძიებების შესახებ ისაუბრა ვიცე-პრეზიდენტმა პავლე ნარიმანიშვილმა, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მესხეთს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ტურისტულ მხარეს, ამიტომ საჭიროა, ხელი შევუწყოთ ამ მხარიდან ტურიზმის აკადემიაში აბიტურიენტთა მოზიდვას. ასოციაცია „მესხეთი — 2001“-ის ხელშეწყობით თბილისში მომუშავე მესხი ექიმები გარკვეულ დღეებში უფასოდ მოემსახურებიან მესხეთიდან ჩამოსულ მოქალაქეებს, რაც დიდი დახმარება იქნება. ასოციაცია ცდილობს, დაარწმუნოს საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა, რომ საჭირო და აუცილებელია სამგზავრო მატარებლების (თბილისი — ვალეს) მიმოსვლის აღდგენა, რაც ხელს შეუწყობს დედაქალაქის ბაზრების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებას.

სხდომაზე დევიზით „ღვაწლი და სიკეთე არ უნდა იკარგებოდეს“ კეთილად მოიგონეს მესხეთის ცნობილი, ღვაწლმოსილი ადამიანები: ვასილ თამაზაშვილი, შალვა კიკაბიძე, ელიზბარ წითლანაძე, რომელთაც დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდათ. მათ შესახებ სიტყვით გამოვიდნენ გიორგი წითლანაძე, ამირან დურგლიშვილი და პავლე ნარიმანიშვილი.

ასოციაცია „მესხეთი — 2001“-ის პრეზიდიუმმა ყველა განხილულ საკითხზე მიიღო პრინციპული, საქმიანი გადაწყვეტილება.

წარმატება ვუსურვოთ როგორც ასოციაციის ხელმძღვანელებს, ისე ჩვენს მესხ თანამემამულეებს ამ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებაში!

**ხვთისავარ არჩემაშვილი,**

**პროფესორი, ე. თაყაიშვილისა და ნ. ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი.**

**სურათზე: სხდომის პრეზიდიუმი.**

ინფორმაცია

## მცხეთის ყოფილი გამგებელი დააკავეს



**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ბრალდებით , მცხეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებელი ვახტანგ ყიფშიძე დააკავა.**

**გამოძიებამ დაადგინა, რომ ვახტანგ ყიფშიძემ 2008 წლის მარტის თვეში, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი შექმნა, რომლის მეშვეობითაც, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლა ქ. მცხეთაში, ფიქრის გორაზე მდებარე სახელმწიფოს კუთვნილ, განსაკუთრებით დიდი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებებს. უწყების ინფორმაციით, მათი საერთო საბაზრო ღირებულება 2 494 660 ლარს შეადგენს.**

**საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით ჩადენილი დანაშული სასჯელის სახით 7-იდან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.**

## აღმოაჩინეს ფსიქოტროპული პრეპარატები

**„ვალეს“ საბაჟო გამშვებ პუნქტზე ფსიქოტროპული პრეპარატების ქვეყანაში შემოტანის მცდელობის ორი ფაქტი გამოვლინდა. 1 ოქტომბერს თურქეთიდან შემომავალი საქართველოს მოქალაქის ხ.თ-ს ბარგის საბაჟო დათვალიერებისას, შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა ფსიქოტროპული ნივთიერებების შემცველი მედიკამენტი, 100 აბი „ქლორდიაზეპოქსიდი“ აღმოაჩინეს. უწყების განმარტებით, აღნიშნული პრეპარატის რეცეპტის გარეშე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოტანა, კანონით აკრძალულია.**

**მათივე ინფორმაციით, 1 ოქტომბერს, ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე „ქლორდიაზეპოქსიდის“ ქვეყანაში შემოტანის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. 100 აბი ფსიქოტროპული პრეპარატი ამჯერადაც საქართველოს მოქალაქე ი.ფ.-ს შემოჰქონდა.**



**შემოსავლების სამსახურის ცნობით, გამოვლენილი ფაქტების შესახებ საქმის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის შსს-ს სამცხე-ჯავახეთის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილებას გადაეცა.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროსაბჭომ დაიცვა მიხეილ სააკაშვილი

### საქართველოს ხელმძღვანელობას შეახსენეს უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ბედის შესახებ

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 1 ოქტომბერს განიხილა ანგარიში საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და მისი თანამებრძოლების სისხლის სამართლით დევნას. მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების" წარმომადგენლები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ კოლეგები ევროსაბჭოს ასამბლეიდან, რომ სასამართლო გამოძიება არ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან. მაგრამ დებატების დროს მათ შეახსენეს ამავე დროს უკრაინის გადაყენებული პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის ბედის შესახებ, რომელიც, დეპუტატების აზრით, ასევე აქტიურად „აგზავნიდა გისოსებს მიღმა პოლიტიკურ ოპონენტებს".**



რეზოლუციაში „საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირება" და მის თანმხლებ განმარტებით წერილში ანალიზი უკეთდება ქვეყანაში შექმნილ ცვლილებებს 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მომენტიდან. დებატების წინ მოხსენების ავტორებმა ლატვიელმა დეპუტატმა ბორის ცილევიჩმა და დანიელმა მიკაელ იენსენმა განაცხადეს, რომ საქართველო მოძრაობს სწორი მიმართულებით, მაგრამ „ქვეყანას კიდევ მოუწევს, გაიაროს გრძელი გზა". მთელი რიგი კრიტერიუმების შესაბამისად დეპუტატებმა აღნიშნეს რეგრესი, რისი პასუხისმგებლობაც დააკისრეს საქართველოს ამჟამინდელ ხელმძღვანელობას.

მოხსენებაში მოჰყავთ დადასტურებანი იმისა, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო სერიოზული ზემოქმედება თავიანთ ოპონენტებზე. ამის შესახებ, ავტორების აზრით, მეტყველებს მიხეილ სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან მთელი რიგი დეპუტატების მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებაში" გადასვლა. თავიანთი პოლიტიკური მიკუთვნება შეცვალეს მთელი რიგი ქალაქების მერებმა. მოხსენების ავტორები აგრეთვე მიუთითებენ საქართველოს არაკომერციული ორგანიზაციების მონაცემებს იმის შესახებ, რომ სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების დაახლოებით 2000 თანამშრომელი გაათავისუფლეს, „მათ შორის სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივებით".

„საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ იკისრა ვალდებულება, გამოასწოროს წარსულის შეცდომები. მთელი რიგი პოზიტიური ძვრები სახეზეა, მაგრამ არ შეიძლება, თვალები დავხუჭოთ ახალ შეცდომებზეც", — განაცხადა დებატებზე ტინი კოკსმა (ნიდერლანდი), მოუწოდა თბილისს, „არ დაუშვას პოლიტიკურად მოტივირებული სამართალდაცვა". საკითხი შეეხება ექსპრეზიდენტ სააკაშვილს (ბრალი ედება სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბებასა და სახელმწიფო სახსრების გაფლანგვას), თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ყოფილ ხელმძღვანელს ბაჩო ახალაიას, აგრეთვე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთელ რიგ სხვა წევრებს.

„ჩვენ არასოდეს დავეთანხმებით იმას, რომ ვინმე საქართველოში იდგეს კანონზე მაღლა, — განაცხადა „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ. — ჩვენთან სასამართლო დამოუკიდებელია და ღებულობს გადაწყვეტილებებს დაუახლეს ისტორიასთან. მერიცელ მატიემ (ანდორა) ისაუბრა თავისი შემთხვევითი შეხვედრის შესახებ იულია ტიმოშენკოსთან ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დერეფანში (უკრაინის ექსპრემიერი იყო სტრასბურგში ორშაბათს), რის შემდეგაც შეგვახსენა: „როდესაც ვიქტორ იანუკოვიჩი პრეზიდენტი გახდა, მან განაცხადა: „არავის შეუძლია, იყოს კანონზე მაღლა". ამჟამად, 4 წლის შემდეგ, ეს სიტყვები ჩვენ ხაფანგად გვეჩვენება, მაგრამ ანალოგიურ განცხადებებს დღეს ჩვენ ვისმენთ საქართველოს ხელისუფლებისაგან". „ჩვენ ყველას გვახსოვს, თუ რა ბედი ეწია იანუკოვიჩს", — დაუმატა დეპუტატმა უკრაინიდან ვლადიმირ არიელმა.

მსგავს განცხადებებს აკეთებდნენ დეპუტატებიც ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან. მაგალითად, გიორგი კანდელაკმა გაგვაფრთხილა: „ოლიგარქები აკონტროლებენ მთავრობას. ბიძინა ივანიშვილი მიდის იანუკოვიჩის გზით". „აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ შურისძიება და რევანშული სამართალდაცვა ვერ უზრუნველყოფს მათს ევროპულ გზას", — მოუწოდა, მხარი დაეჭირათ რეზოლუციისათვის მის კოლეგამ ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მოხსენების ავტორები, როგორც ჩანს, ასეთ რეაქციას არ ელოდებოდნენ. „ჩვენ არ შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს ქართველ მეგობრებს: „ნუ სდევნით ამ კაცს, ვინაიდან იგი იყო მინისტრი", — განაცხადა დებატების ბოლოს ბორის ცილევიჩმა და შენიშნა: საკითხი შეეხება მხოლოდ სამართალდაცვის



მოუკიდებლად". „ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას ასევე შეუძლია, ჩაწეროს რეზოლუციაში კონკრეტული გვარები? ეს ხომ არღვევს პრინციპებს, რომ არავის აქვს უფლება, ჩაერიოს სასამართლოს გადაწყვეტილებებში", — აღშფოთებული იყო იგი დებატებზე.

სხვათა შორის, საქართველოს ამჟამინდელი ხელმძღვანელების დამცველები ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე აღმოჩნდნენ უმცირესობაში. „ჩვენ წამოვედით საქართველოდან დიდი იმედებით, მიგვაჩნდა, რომ დავინახეთ ჭეშმარიტი დემოკრატია პროგრესის გზაზე, — განაცხადა ბრიტანელმა როჯერ გეილმა, რომელიც მუშაობდა მეთვალყურეთა მისიაში 2013 წლის დეკემბრის პრეზიდენტის არჩევნებზე. — მაგრამ „ქართული ოცნება" კოშმარად იქცა". რეზოლუციის ტექსტს დეპუტატმა „უკბილო" უწოდა.

ბევრმა გამომსვლელმა კი პარალელი დაინახა უკრაინის ყველა პრინციპების მკაცრი დაცვის აუცილებლობას. მისი სიტყვებით, სინამდვილეში „მმართველ კოალიციასა და ოპოზიციას შორის ბევრი რამ საერთო არსებობს", — ესაა ორიენტაცია ევროპულ ღირებულებებზე, კონფრონტაცია კი ზიანს მიაყენებს ქვეყანას. მაგრამ ქართველმა დელეგატებმა, როგორც ჩანს, მას არ მოუსმინეს.

**„კომერსანტი"**

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთს ევროკავშირის ახალი სანქციები დაემუქრება, თუ სეპარატისტები ხელში ჩაიგდებენ დონეცკის აეროპორტს, – იტყობინება პრესა**

**მოსკოვი ეწევა რისკს, მიიღოს სანქციების ახალი პორცია ევროკავშირისაგან, თუ პრორუსული სეპარატისტები კვლავ მოიპოვებენ წარმატებებს უკრაინის აღმოსავლეთში, იტყობინება სააგენტო „ბლუმბერგი" წყაროზე მითითებით, რომელიც იცნობს გერმანიის საგარეო პოლიტიკას. ზომები მიღებული იქნება დონეცკის აეროპორტის ან მარიუპოლის აღების შემდეგ.**

**ქაბულში „თალიბანის" თვითმკვლელმა ააფეთქა ავტობუსი სამხედროებით: არის მსხვერპლი და დაჭრილები**

**ეს უკვე მეოთხე ტერორისტული აქტია ავღანეთის დედაქალაქში მიმდინარე კვირის დასაწყისიდან, როდესაც ახალმა პრეზიდენტმა აშრაფ განი ახმაძაიმ დადო ფიცი და ხელი მოაწერა შეთანხმებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან ამერიკელი სამხედროების ავღანეთში ყოფნის შესახებ 2014 წლის შემდეგ. თალიბების ლიდერებმა, რომლებსაც ახმაძაიმ მოუწოდა მოლაპარაკებისათვის, პასუხად დადეს ფიცი ებრძოლონ ახალ „მარიონეტულ რეჟიმს".**

**ჩინეთმა ამერიკის შეერთებული შტატები გააფრთხილა აჯანყებული ჰონკონგის საქმეში ჩარევის გამო**

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ ვაშინგტონში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ სიტუაცია ჰონკონგში არის ჩინეთის საშინაო საქმე. სხვათა შორის, იგი დათანხმდა, განიხილოს უწესრიგობანი სახელმწიფო მდივან კერისთან და პრეზიდენტ ობამასთან. თეთრი სახლი გამოვიდა ჰონკონგის მხარდასაჭერად „მაქსიმალური ავტონომიით".**

**თანამგზავრი GALILEO ორბიტაზე ვერ გავიდა გაყინული მილსადენის გამო**

**საფრანგეთის გაზეთ „მონდისთვის" ცნობილი გახდა სამამულო კოსმონავტიკის ძვირადღირებული წარუმატებლობის გამოკვლევის კომისიის მუშაობის შედეგები. ექსპერტები ამტკიცებენ, რომ „ფრეგატებზე" არასწორად განათავსეს მილსადენები, რის შედეგადაც სათბობი იყინება. თანაც ეს არის არა წუნი, არამედ ცუდი ტექნოლოგიური გადაწყვეტილება.**



## ინფორმაცია

## ავღანეთში ქართველი მებრძოლები დააჯილდოვეს

**ავღანეთში**, ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეთა დაჯილდოების მორიგი ცერემონიალი გაიმართა.

ბატალიონის პირად შემადგენლობას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მედალი სამშვიდობო ოპერაციაში მონაწილეობისთვის ISAF-ის სამხრეთის რეგიონალური სარდლობის ხელმძღვანელმა პირადად გადასცა.

ღონისძიებაზე გენერალ-მაიორმა მაიკლ ბილსმა ქართველ სამხედროებს სიტყვით მიმართა და საერთაშორისო მისიაში წარმატებული მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა. მან ავღანეთის საავიაციო ბაზის დაცვის მნიშვნელობასა და ამ პროცესში ქართველი სამხედროების მიერ შეტანილ წვლილზე გაამახვილა ყურადღება. დაჯილდოების ცერემონიალს რეგიონული სარდლობა სამხრეთის მთავარი სერჟანტი, სერჟანტ-მაიორი ენდრიუ ბარტეკიც დაესწრო.

სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ყანდაღარის საავიაციო ბაზის დაცვის ამოცანებს ექვსი თვის განმავლობაში ასრულებდა.

№202. პარასკევი, 3 ოქტომბერი, 2014 წელი.

# ხუთი ჭკუის სასწავლებელი ამბავი

## ამბავი პირველი

**ერთხელ თაგვმა შენიშნა, რომ გლეხმა სათაგური გამართა და ეს ამბავი ქათამს, ცხვარსა და ძროხას უამბო. მაგრამ ყველასგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო: „სათაგური შენი პრობლემაა, ჩვენ ეგ ამბავი არაფერში გვეხება!“**

მოგვიანებით სათაგურში გველი გაება და გლეხის ცოლს უკბინა. მის გადასარჩენად ქალს ქათმის წვნიანი მოუმზადეს, შემდეგ ცხვარი დაკლეს ავადმყოფის სანახავად მისული ხალხის დასანაყრებლად. ბოლოს კი ძროხაც მიაყოლეს, რათა გარდაცვლილი ქალისთვის ღირსეული ქელეხი გადაეხადათ.

მთელი ამ ხნის მანძილზე თაგვი კედელში ჭუჭრუტანიდან იცქირებოდა და იმ რაღაცებს ფიქრობდა, რასაც არავისთან არანაირი კავშირი არა აქვს.

**მორალი: თუკი რაღაც ამბავი უშუალოდ თქვენ არ გეხებათ, ნუ გგონიათ, რომ შემდგომ ამან არ შეიძლება ფათერაკს გადაგკიდოთ.**

## ამბავი მეორე

**არწივი ხეზე დაჯდა დასასვენებლად და მზეს ეფიცხებოდა.**

ბოცვერის ბაჭიამ არწივი რომ დაინახა, შეეკითხა:

— იქნებ მეც თქვენსავით უსაქმოდ ჩამოვჯდე და მზეს მივეფიცხო?

— რატომაც არა, კარგი აზრია! — უპასუხა არწივმა.

ბაჭია წამოგორდა ხის ძირში და მზეს მიეფიცხა. უცებ გამოხტა მელია, ეცა ბაჭიას და უმალ შეახრამუნა.

**მორალი: საიმისოდ, რომ იჯდეთ, მზეს ეფიცხებოდეთ და სხვაზე არაფერზე არ დარდობდეთ, ძალიან მაღლა უნდა იჯდეთ.**

## ამბავი მესამე

**ფერმაში ცხენი გახდა ავად. მის სანახავად მოსულმა ვეტექიმმა თქვა:**

— თუ დილამდე ცხენი ფეხზე არ წამოდგება, მე მას დავაძინებ.

დილაზე ცხენი ფეხზე არ ამდგარა. მის გვერდით ცხვარი იწვა, რომელმაც უთხრა:

— მიდი, დროზე ადექი, თორემ სამუდამოდ დაგაძინებენ!

ცხენი ფეხზე წამოდგა, ფერმერმა კი თქვა:

— სასწაულია! ეს ამბავი უნდა აღვნიშნოთ! ამიტომ ცხვარს დავკლავთ!

**მორალი: ნურასოდეს ჩაყოფთ ცხვირს სხვის საქმეში (თუმცა, კი სათაგურის ამბავსაც ნუ დაივიწყებთ!).**

## ამბავი მეოთხე

**სამი კაცი ქვებს თლიდა. ერთ-ერთს ჰკითხეს:**

— რას აკეთებ?

მან ოფლი მოიწმინდა და უპასუხა:

— წელზე ფეხებს ვიდგამ!

ჰკითხეს მეორესაც: — შენ რაღაც აკეთებო? იმან პერანგის მკლავები აიკაპიწა და უპასუხა:

— ფულს ვშოულობო!

მესამეს რომ ჰკითხეს, შენ რაღას შვრებიო, იმან უპაუხა:

— ტაძარს ვაშენებ!

**მორალი: ცხოვრებას აზრი მხოლოდ იმისთვის აქვს, ვისაც დიადი მიზანი აქვს დასახული.**

## ამბავი მეხუთე

**ტაქსის მძღოლმა სიმდიდრით ცნობილი კაცი სახლში მიიყვანა, რომელმაც ფული ზუსტად მრიცხველის ჩვენებით გადაუხადა. მძღოლმა უთხრა, გუშინ თქვენი შვილი მოვიყვანე, იმან ზედმეტი 100 დოლარი მომცაო.**

— მაგას, ჩემო კარგო, მამა მილიონერი ჰყავს, მე კი ობოლი ვარ! — იყო პასუხი.

**მორალი: ფულის ყადრი მხოლოდ მან იცის, ვინც ის თავისი შრომით მოიპოვა.**



# ჯადოსნური „ლაქიანი“ ტბა

**კანადის ბრიტანეთის კოლუმბიის პროვინციაში დედამიწაზე ერთ-ერთი უნიკალურობით გამორჩეული ტბა მდებარეობს. ამინდის მდგომარეობის და, ასევე, წელიწადის დროის მიხედვით, ტბის წყალი კრისტალიზდება და გარკვეულ ფერებად იღებება.**

კლილუკის ტბა კანადის აბორიგენ ინდიელთათვის წმინდა ადგილია, რომელიც თავისი სამკურნალო თვისებებითაა განთქმული. მასზე მრავალი „ლაქა“ წარმოიშვება — ესენი მინერალთა წრეებია. კლილუკში მსოფლიოში მაგნიუმის სულფატის (ეფსომის მარილის), აგრეთვე კალციუმის, ნატრიუმისა და ვერცხლისა და ტიტანის ყველაზე მაღალი კონცენტრაციაა, რაც იქაურ წყალს „ჯადოსნურად“ აქცევს.

# ყოჩაღი ვილი

**გულგახეთქილი ქურდი, რომელიც ღამით ბინაში გასაძარცავად შეიპარა, სახლის ბოცვერმა ისე შეაშინა, რომ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.**

მარტინ და კიმბერლი სპენსერებსა და მათ სამი წლის ქალიშვილს ოვილიას ტკბილი ძილით ეძინათ, როცა მათ სახლში ქურდი შეიპარა. როცა მან კარადების ჩხრეკა და ნივთებში ქექვა დაიწყო, ხმაურზე პატრონის სახლის პატარა დიასახლისის, ოლივიას საყვარელმა ბრიტანულმა ბოცვერმა ვილიმ გაიღვიძა. მოგვიანებით ჟურნალისტები აღფრთოვანებით წერდნენ, რომ დიდთავა და დიყურა ვილი ნამდვილი გოლიათია — იგი დაახლოებით 5 კილოგრამს იწონს და სიგრძეში თითქმის მეტრის ტოლია.

ქურდის ხმაურით შეწუხებულმა ვილიმ თავისი უზარმაზარი თათებით ისეთი ბრაგაბრუგი ატეხა, რომ ქურდი დააფრთხო და გააქცია. ხმაურზე სპენსერების ოჯახმაც გაიღვიძა და კარადებიდან გადმოყრილი ნივთები რომ ნახეს, მიხვდნენ, რომ ღამე დაუპატიჟებელი სტუმარი „ეწვიათ“ და ძარცვას მხოლოდ ვილის წყალობით გადაურჩნენ.

# ფულის „დამზოგავი“ მავთულხლართი

**ეკლიანი მავთული, რომლითაც ციხეებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ტერიტორიებს ღობავენ, თავის დროზე სულ სხვა, ასე ვთქვათ, მშვიდობიანი მიზნით შექმნეს. თუმცა კი დროთა განმავლობაში მან და კიდევ ზოგიერთმა სხვა საგანმა „ორიენტაცია“ შეიცვალა.**

მართლაც, ეკლიანი მავთულის შემქმნელებს სრულიად მშვიდობიანი ჩანაფიქრი ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ეს, სამწუხაროდ, საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე, ამ გამოგონებამ უამრავ ადამიანს, რომ იტყვიან, „სიცოცხლე გაუმწარა“.



მე-19 საუკუნის შუა ხანებში, ამერიკაში, ილინოისის შტატში ფერმერი ჯოზეფ გლიდენი მეუღლე ლუსინდასა და ქალიშვილ ელვასთან ერთად ცხოვრობდა. ერთხელ, ქალბატონმა ლუსინდამ შეამჩნია, რომ დიდი ლარნაკიდან, სადაც მას თავისი წვრილმანი რაღაც-რაღაცები ეწყო, თმის საბნევები იკარგებოდა. ქალმა ეჭვი ქალიშვილზე აიღო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაკარგული თმის საბნევები... ქმრის ჯიბეში იპოვა. დარცხვენილმა ჯოზეფმა მეუღლეს აუხსნა, რომ მათ დაგრეხვას ისე ცდილობს, რომ ბასრი წვერები სხვადასხვა მხარეს იყოს მიმართული. ბოლოს მან ამის გაკეთება შეძლო — დაგრეხილი თმის საბნევებით „მორთულმა“ მავთულმა თანამედროვე სახე მიიღო.

ალმოჩნდა, რომ ასეთი მავთული მისტერ გლიდენს... ეკონომიის გასაწევად სჭირდებოდა: საქონლის მწემსი კოვბოები გასამრჯელოს გაზრდას მოითხოვდნენ, იაფიანი ეკლიანი მავთული კი იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ძროხები თავის ნებაზე გადაადგილებას ველარ შეძლებდნენ.

1856 წელს 18 წლის სტუდენტ უილიამ ჰენრი პერკინსს ერთი ცნობილი, ჯერ კიდევ საბჭოური ხანის დროინდელი ანეკდოტის მსგავსი ამბავი დაემართა — რუსი მუშა ყოველ დღე ქარხნიდან საკერავი მანქანის ნაწილებს იპარავდა და აგრეგატის სახლში აწყობას ცდილობდა, მაგრამ ყოველ ჯერზე... ტყიამფრქვევი გამოსდიოდა. იმ ხანებში ინგლისის კოლონიური ჯარი სასტიკად იტანჯებოდა მალარიისგან, ამიტომ სტუდენტმა თანამემამულეებისთვის მდგომარეობის შემსუბუქება და იაფიანი სამკურნალო საშუალების შექმნა გადაწყვიტა. მაგრამ, ცდების შედეგად მან რაღაც სრულიად გაურკვეველი სუბსტანცია მიიღო, რომელმაც ერთადერთი საგარეო პერანგი ისე დაუსვარა, რომ ლილისფერი ლაქის ამოყვანა ვერაფრით ვერ შეძლო. თუმცა ქიმიკოსის მამამ ეს ამბავი რომ გაიგო, დიდად გაიხარა და შვილს განუცხადა: „შენ სწავლაში ჩადებული ფული უკვე ამოღებულია, შეგიძლია კოლეჯს თავი დაანებო“... ასე იქნა გამოგონებული პირველი სინთეტიკური ლილისფერი მღებავი, რომელსაც „მოვეინი“ დაარქვეს.

განა რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ჩამოგდებულ თვითმფრინავსა და... გახუხულ ბუტერბროდს? საერთოდ კი, თურმე, ვინმე პესი ლებარონ სპენსერი ყოფილა, თვითნასწავლი ინჟინერი, რომელიც რადარების დამმუშავებელ კომპანიაში მუშაობდა. მას საშუალო სკოლაც არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ, ამის მიუხედავად, 300 პატენტის ავტორია. მსოფლიო აღიარება მან შემთხვევით მოიპოვა: მორიგი რადარის გამოცდისას, მისტერ სპენსერს, რომელიც ტკბილეულის დიდი ტრფიალი და, ამავდროულად, დიდად დაბნეული კაცი იყო, ჯიბეში შოკოლადის ფილა ჩარჩენია. გამოსაცდელ რადართან გარკვეული ხნის განმავლობაში ფუსფუსის შემდეგ შოკოლადი დადნა და ინჟინერს შარვალი დაუსვარა. ამან ბატონ სპენსერის საინჟინრო აზროვნებას გარკვეული ბიძგი მისცა, რის შედეგად მალე მსოფლიოში 340-კილოგრამიანი მიკროტალღური ღუმელი გაჩნდა, რომელიც არა მარტო სამხედრო მიზნებისთვის, არამედ სასურსათო პროდუქტების გასალღვობადაც გამოიყენება.

# როცა პაროლი საქმეს ველარ შველის

**ინტერნეტ-კონცერნ „გუგლის“ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ პაროლები აღარ არის საკმარისი დამცველი საშუალება რომელიმე კერძო მომხმარებლის მონაცემთა ბაზის უნებართვოდ გახსნისგან დასაცავად.**

უსაფრთხოების დარგში „გუგლის“ ვიცე-პრეზიდენტ ერიკ გროსესა და ინჟინერი მაიანკ უპადიაი ინტერნეტის მოხმარებლებს დასაცავად ახალ ტექნოლოგიებს სთავაზობენ.

მათ ინტერნეტში შესასვლელად და სამუშაოდ ახალი დამატებითი ინსტრუმენტები შეიმუშავეს. მათგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩიპიანი ბეჭედი, რომელიც მომხმარებელს შეუძლია თითზე ატაროს და მისი დახმარებით საკუთარი თავის იდენტიფიცირება მოახდინოს. მეორეა პორტატული ინდივიდუალური USB-დისკო, რომელიც ვებ-საიტებზე შესაღწევად კომპიუტერში შესაბამის პორტში უნდა ჩაისვას: ვიდრე ის ჩართული არ იქნება, იმ საიტებთან წვდომა, რომლებსაც პაროლის შეყვანა სჭირდება, შეუძლებელი იქნება.

ერთი კია — ამგვარ მოწყობილობებთან გარკვეული რისკებია დაკავშირებული: საჭიროა მათი მუდამ თან ქონა, მაშასადამე, შესაძლებელია ვინმემ მოიპაროს, ანდა, სულაც დაიკარგოს.

# ტაბუ ივრითზე

**დიდმა ბრიტანეთმა ივრითი დაწყებით სკოლებში სასწავლებლად გამოსადეგი ენების ნუსხიდან ამოიღო. ქვეყნის განათლების მინისტრმა ელისაბედ თრასმა, კერძოდ, განაცხადა, რომ ამ სიიდან ივრითი 2014 წლის სექტემბრიდან ამოშალეს.**



ამრიგად, ის მოსწავლეები, რომლებიც ებრაულ განათლებას იღებენ, ჩვეულებრივი სასკოლო პროგრამის ფარგლებში ივრითს ველარ შეისწავლიან. ამასთან დაკავშირებით ბევრმა ევროპელმა ლიდერმა განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის განათლების სამინისტროს ამ გადაწყვეტილებას მთლიანად ევროპული განათლების სისტემისთვის მეტად სავალალო შედეგი მოჰყვება.

ალსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის დაწყებით სკოლებში სასწავლებლად მხოლოდ შვიდი უცხო ენაა დაშვებული.

კუკუდამალოზანა

# საქმემ ასე მოითხოვა



**საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებებს ახალი მწვრთნელები ჩაიბარებენ. ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ გადაწყვეტილების შესახებ განცხადება სააგენტო პირველის პრესკლუბში გამართულ საგანგებო ბრიფინგზე გაახმაურა, რომელზეც სპორტული გამოცემების ჟურნალისტების მიწვევისგან რატომღაც თავი შეიკავეს.**

ფედერაციის პრეზიდენტმა დამსწრეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროდან მიღებული წერილი გააცნო, რომელშიც პირდაპირაა მოთხოვნილი შეჩერებული საწვრთნელი პროცესის სწრაფად განახლების მიზნით ნაკრებების სამწვრთნელო შტაბებში ცვლილებების განხორციელება.

„სპორტის სამინისტრო ყველა პირობას გვიქმნის, რომ ჭიდაობის გარდა არაფერზე ვიფიქროთ. შესაბამისად, ჩვენგანაც მაქსიმალურად დახარჯვას ელის და როდესაც საწვრთნელი პროცესი შეჩერდა, სრულიად სამართლიანი დავალება მივიღეთ. ჭიდაობის ფედერაცია სამინისტროს პოზიციას სავსებით იზიარებს და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მივიღეთ. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთანაც გავიარეთ კონსულტაციები და მწვრთნელობის ის კანდიდატურები, რომლებიც შევარჩიეთ, მათაც მოიწონეს. ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს სათავეში ლეგენდარული სპორტსმენი მიხეილ სალაძე ჩაუდგება, თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებს კი ცნობილი სპეციალისტი ნუგზარ სხირელი გაწვრთნის. უკვე მზადაა კონტრაქტები, რომელთა მიხედვითაც ახალი მწვრთნელები ნაკრებებში 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 დეკემბრამდე იმუშავებენ“ – განაცხადა კურტანიძემ.

მიხეილ სალაძის სამწვრთნელო შტაბში ოთარ ტატიშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, იოსებ ბერიაშვილი და აკაკი ჩაჩუა იმუშავებენ, ნუგზარ სხირელს კი ოთარ თუშიშვილი, სოსო ბზარაშვილი და ვლადიმერ რეხვიაშვილი დაეხმარებიან.

ლუკა კურტანიძის ბრიფინგთან დაკავშირებით კომენტარი ფედერაციის სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელმა რომან რურუამაც გააკეთა. მისი განცხადებით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში სამეთვალყურეო საბჭოს მონაწილეობა არ მიუღია და მოვლენების ასეთი სცენარით განვითარება მისთვისაც მოულოდნელი იყო.

ნაკრებების წევრების პოზიცია კი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი, მას შემდეგ, რაც ახალი მწვრთნელები გუნდებს სავარჯიშოდ უხმობენ.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# მარკოიშვილი გომელსკის თასზე ითამაშებს




**მანუჩარ მარკოიშვილის ცსკა მომავალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს და რამდენიმე საგარეო ტურნეს კვალად საკონტროლო მატჩების ჩატარებას მოსკოვშიც აპირებს.**

ამჯერად რუსული კლუბი მონაწილეობას ალექსანდრ გომელსკის სახელობის თასის გათამაშებაში მიიღებს, სადაც „ნიჟნი ნოვგოროდი“, ბერძნული „პანათინაიკოსი“ და ლიტვური „ლიეტუვოს რიტასიც“ იასპარეზებენ.

უკვე ცნობილია, რომ ხვალ ნახევარფინალებში ცსკა – „ლიეტუვოს რიტასი“ და „პანათინაიკოსი“ – „ნიჟნი ნოვგოროდი“ ითამაშებენ, 5-ში კი მატჩი მე-3 ადგილისთვის და ფინალი ჩატარდება.

ახალი სეზონის წინ ეს მოსკოველთა ბოლო საკონტროლო მატჩები იქნება. უკვე 8 ოქტომბერს ცსკა ვთბ-ლიგის ეგიდით ფინურ „ნილან ბიზონსს“ უმასპინძლებს, ხოლო ევროლიგაში პირველი მატჩი 17 ოქტომბერს გერმანიაში „ალბასთან“ ელის.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩოგბურთი

# დიმიტროვი ჯოკოვიჩს დაუპირისპირდება



**ჩინეთში მიმდინარე china open-ის ტურნირზე ATP-ის რეიტინგის მე-10 ნომერმა, 23 წლის ბულგარელმა გრიგორ დიმიტროვმა რეიტინგის 43-ე ნომერი, ესპანელი პაბლო ანდუხარი დაამარცხა(6:4, 6:4).**

მატჩის პირველი სეტი ქალთა ჩოგბურთს დაემსგავსა –- ჩოგბურთელებმა ჯამში 7 ბრეიქი შეასრულეს. ესპანელმა 4-ჯერ დაკარგა თავისი მოწოდება, ხოლო ბულგარელმა – 3-ჯერ.

მეორე სეტში, 5:4-ზე დიმიტროვის სასარგებლოდ, გრიგორმა ბრეიქი შეასრულა და გამარჯვება მოიპოვა.

მეოთხედფინალში ბულგარელის მეტოქე პლანეტის ნომერ პირველი ჩოგბურთელი ნოვაკ ჯოკოვიჩი იქნება. ურთიერთშეხვედრებში სერბის უპირატესობა აშკარაა – 5:1. 2013 წელს დიმიტროვმა ჯოკოვიჩს ერთადერთი შეხვედრა მადრიდის ტურნირზე მოუგო.

**კობა კობახიძე**

ფეხბურთი

# მხოლოდ შედეგები



**ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური რაუნდი. II ტური.**

**„ა“ ჯგუფი.** „ატლეტიკო“ – „იუვენტუსი“ 1:0, „მალმიო“ – „ოლიმპიაკოსი“ 2:0.

**„ბ“ ჯგუფი.** „ლუდოგორეცი“ – „რეალი“ 1:2, „ბაზელი“ – „ლივერპული“ 1:0.

**„გ“ ჯგუფი.** „ლევერკუზენი“ – „ბენფიკა“ 3:1, „ზენიტი“ – „მონაკო“ 0:0.

**„დ“ ჯგუფი.** „არსენალი“ – „გალათასარაი“ 4:1, „ანდერლეხტი“ – „ბორუსია“ 0:3.

მჯობნის მჯობნი...

# რონალდუმ მესის გაასწრო



**მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა კრიშტიანუ რონალდუმ უეფას ჩემპიონთა ლიგაში გატანილი გოლების რაოდენობით „ბარსელონას“ ფორვარდ ლიონელ მესის გაასწრო.**

რონალდუმ ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში სტუმრად ბულგარეთის „ლუდოგორეცთან“ გატანილი ბურთის წყალობით თავი 69 გოლს მოუყარა. მესის ერთი გოლით ნაკლები აქვს.

ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგის საუკეთესო ბომბარდირად „რეალის“ ლეგენდა რაული რჩება, რომელსაც 71 გოლი გაუტანია.

**გიორგი შოთაძე**

ახალ ამპლუაში

# ლექტორი „ფერგი“

**სანამ სხვები ფულის მოხვეჭაზე არიან თვალებდაჭყეტილნი და ამისათვის ათასგვარ ხრიკს იგონებენ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი მწვრთნელი, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული ალექს ფერგიუსონი არ აჰყვა სარფიან შეთავაზებებს და ლექტორობა გადაწყვიტა.**

აგერ უკვე რამდენიმე თვეა, რაც სერ ალექსი ჰარვარდის ცნობილ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს და მის ლექციებზე ისეთი მოთხოვნილებაა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ წითური შოტლანდიელის ლექციების ინტერნეტით ტრანსლირების გადაწყვეტილება მიიღო, რათა ფერგიუსონის სიტყვები ყველა მსურველმა მოისმინოს.

სერ ალექს ფერგიუსონის ლექციები ძირითადად მენეჯმენტის საკითხებს ეხება, რაც, დაგვეთანხმებით, რომ „მანიუს“ ყოფილმა მესაჭემ უდავოდ შესანიშნავად იცის. მენეჯმენტის ამბებში ფერგიუსონის დიდ ნიჭზე თავის დროზე მის მიერ არაერთხელ აღორძინებული მანჩესტერული კლუბიც მეტყველებს.

**ბექან დოლიძე**



ინფორმაცია

## სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ წვევამდელი დაიღუპა

საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ საგუშაგოზე, წვევამდელი დავით ბოლოთაური გარდაცვლილი იპოვეს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, დაღუპული რიგითი, რომელსაც ჭრილობა თავის არეში აქვს მიყენებული, სამხედრო ნაწილის ცვლის უფროსმა აღმოაჩინა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს წვევამდელი დავით ხვიჩას ძე ბოლოთაურის დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

უწყების განმარტებით, გამოძიება დაწყებულია და საქმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115 მუხლით, თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზეა აღძრული.

„მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი მთავარი პროკურატურის უშუალო ზედამხედველობით აწარმოებს“, — აღნიშნავენ უწყებაში.

1996 წელს დაბადებული დავით ბოლოთაური საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 2014 წლის 3 სექტემბრიდან ირიცხებოდა. იგი საქართველოს შეიარაღებული ძალების ეროვნულ სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ პროცესების მხარდაჭერის ასეულში სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

თავდაცვის სამინისტრო სრულად დაფარავს წვევამდელის დაკრძალვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

## ცვლილება

გაზეთ „საქართველოს რესპულიკის“ 2014 წლის 20 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული განცხადების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„2014 წლის 13 ნოემბერს, 14 საათზე, ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ. №3) გაიმართება შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ დაქვემდებარებული კირის ქარხნის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა“.**

შპს „აგარის შაქრის კომპანიას“ ადმინისტრაცია

სულთათანა

## ივანე (ვანიკო) კომახიძის ხსოვნას

საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა დიდი დანაკლისი განიცადა. აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობის ხანაში უეცრად გარდაიცვალა ნიჭიერი მშენებელი, სამეურნეო დარგის გამოცდილი მუშაკი, უნივერსიტეტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი **ივანე ნოდარის ძე კომახიძე**. შეწყდა ღირსეული მამულიშვილის სიცოცხლე, რომელიც საზოგადოებაში მაღალი ზნეობით, მოქალაქეობრივი პრინციპებით, განსაკუთრებული კეთილშობილებითა და თბილი ადამიანური ურთიერთობებით გამოირჩეოდა. ივანე კომახიძის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა მშობლიური უნივერსიტეტისადმი ერთგულებისა და თავდადებული სამსახურის ნიმუში იყო.



იგი დაიბადა 1952 წლის 21 ივლისს ქ. თბილისში. 1969 წელს დაამთავრა დედაქალაქის №10 საშუალო სკოლა და იმავე წელს გახდა საქართველოს პილიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტი. 1974 წელს დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაციით და მუშაობა დაიწყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში ინჟინრად. 1980 წლიდან მთელი თავისი პროფესიული საქმიანობა ივანე კომახიძემ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, შემდგომში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს დაუკავშირა, სადაც მუშაობა დაიწყო ტექნიკური განყოფილების უფროსად, ხოლო 1992 წლიდან იგი დაწინაურებული იქნა სამეურნეო სამმართველოს უფროსად. ეს იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი სასწავლო კორპუსების მშენებლობის, სასწავლო და სამეცნიერო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების წლები, რაც სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელობისაგან დაუღალავ შრომას მოითხოვდა. ბატონი ივანე მთელი შემართებით პასუხობდა დროის გამოწვევებს.

2005 წლიდან ი. კომახიძე გადაყვანილ იქნა ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ და სამეურნეო საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო 2007 წლიდან კი გარდაცვალებამდე მუშაობდა ტექნიკური უნივერსიტეტის სამეურნეო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსად. ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობის პერიოდში გამოჩნდა ვანიკო კომახიძის, როგორც წარმოების ორგანიზატორის მრავალმხრივი ნიჭი და უნარი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სინამდვილეში არ ჩატარებულა არც ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება ბატონი ვანიკო კომახიძის აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ივანე კომახიძე უნივერსიტეტის სამეურნეო სამსახურის ხელმძღვანელობას უნარიანად უთავსებდა სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობასთან. 2001 წელს მან წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად. იმავე წლის ოქტომბერში სამშენებლო მექანიკის კათედრის დოცენტად დაინიშნა. 2005 წლიდან ასოცირებული პროფესორის, ხოლო 2009 წლიდან სრული პროფესორის თანამდებობა ეკავა. მისი სამეცნიერო შრომები და მეთოდური მითითებები გამოირჩევა მშენებლობის დარგის კონკრეტული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტებით, რაც დიდ დახმარებას უწევდა ამ პროფილის სტუდენტებს.

ბატონი ივანე გახლდათ ჩინებული მეუღლე, მამა და ბაბუა, თავისი ქრისტიანული ცხოვრების წესით იყო სამაგალითო მეგობარი გარშემომყოფთათვის. იგი ზეციურ საქართველოში შეუერთდება მის დიდ მასწავლებლებს, სიყრმისა და სტუდენტობის წლების უახლოეს მეგობრებს. წავიდა ჩვენგან ღირსეული თბილისელი და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი. წარმოუდგენელია, რომ იგი მისთვის ჩვეული ღიმილით კვლავაც არ შემოაბიჯებს მშობლიურ უნივერსიტეტში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ბატონი ვანიკო კომახიძის სული, ვალმოხდილი ქვეყნის, მშობლიური უნივერსიტეტისა და სათაყვანებელი ოჯახის წინაშე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროცესები ოქტომბერში

**3, 11, 12, 20 და 21 ოქტომბერს შეიძლება შეინიშნებოდეს სისუსტე და ძალების დაცემა. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია, შევამციროთ დატვირთვა და გავზარდოთ დასვენების დრო.**

**2014 წლის ოქტომბრის დაძაბული დღეები:**

**5 (20-22); 8 (12-15); 15 (20-23), 18 (04-07); 23 (15-17); 24 (00-03); 25 (20-22); 28 (14-18); 29 (10-12); 31 (05-07).**

**5 — მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში**. შეიძლება შეინიშნებოდეს დაბნეულობა, უყურადღებობა. დიდია შეშუპების, ფუნქციურ დაავადებათა ალბათობა. შესაძლებელია ალერგიული რეაქციები. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ ცხიმიანი და ცხარე საკვები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. შეძლებისდაგვარად თავი ავარიდოთ ქირურგიულ ჩარევასა და ნარკოზს. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უმჯობესია, გადავდოთ. სასარგებლოა წყლის პროცედურები და მსუბუქი გასეირნება.

**8 — სავსე მთვარე, მთვარის დაბნელება, მთვარე ამომავალ კვანძშია ურანთან შეერთებაში ვერძში**. მთვარის დაბნელებამდე, რომელიც 14.56 საათზე მოხდება, ერთი საათით ადრე სასურველია, მივიღოთ კონტრასტული შხაპი და ჩავიცვათ ნათელი ტანსაცმელი. უნდა შევეცადოთ, ჩვენს გარშემო შევიქმნათ მშვიდი და კეთილი განწყობილება, ვაპატიოთ სხვებს წყენინება, ყველას ვუსურვოთ სიკეთე, არ ვიდავოთ და არ დავიწყოთ ურთიერთობათა გარკვევა, უარი ვთქვათ ცხოველურ საკვებზე, მოწევასა და სპირტიან სასმელებზე. შესაძლებელია თავის ტკივილი, მშფოთვარე ძილი, გაღიზიანებულობა, მოუთმენლობა. იყავით ფრთხილად ცეცხლთან, ერიდეთ დაცემას, სვით სუფთა წყალი, ნუ იჩქარებთ. ხელსაყრელია გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, ზომიერი ფიზიკური ვარჯიშები და გასეირნება.

**15 — მთვარის უკანასკნელი მეოთხედი**. არ არის გამორიცხული ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, განწყობილების გაუარესება, ემოციური ტონუსის დაქვეითება, მოდუნება და პასიურობა. ძლიერდება შთაბეჭდილებანი, ეჭვი და წყენინება. რეკომენდებულია დავიცვათ დიეტა, თავი შევიკავოთ სპირტიანი სასმელებისა და მძიმე და ცხარე საკვების მიღებაზე. ხელსაყრელი დროა დაწყებული საქმეების დასამთავრებლად.

**18 — მთვარე აპოგეაში უერთდება იუპიტერს ლომში**. არ არის გამორიცხული პრობლემები ღვიძლთან დაკავშირებით, უძილობა, ტკივილები ზურგში და რადიკულიტი. კატეგორიულად არ შეიძლება მძიმე საგნების აწევა, მძიმე ფიზიკური სამუშაოების შესრულება, გულისა და ხერხემლის გადატვირთვა. ფრთხილად იყავით საჭესთან, ტრანსპორტში, გადაწყვეტილებათა მიღების დროს. ერიდეთ სტრესებს, უარი თქვით ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე. სასარგებლოა სასუნთქი ვარჯიშები, სამკურნალო ტანვარჯიში, მსუბუქი გასეირნება ჰაერზე. ხელსაყრელი დროა ბავშვებთან მეცადინეობისთვის, ინტელექტუალური საქმიანობისთვის, ახლო მგზავრობისთვის.

**23 — მთვარე გადადის ღრიანკალის ნიშანში, მთვარის მერკურთან შეერთება სასწორში**. შესაძლებელია თირკმელებისა და საშარდე ბუშტის დაავადებანი, კუჭისა და თავის ტკივილები, რადიკულიტი. არ არის გამორიცხული თავბრუსხვევა, მოძრაობის ფუნქციების დარღვევა, ტკივილები ხელებში, ნევრალგია, უძილობა. ერიდეთ ტრავმებს, დაიცავით სიფრთხილე ტრანსპორტში. ერიდეთ გაციებას მენჯის მიდამოებში. მოწამლვას წამლებისგან, გამორიცხეთ ცხარე, მარილიანი და ცხიმიანი საკვები, სვით რაც შეიძლება მეტი სუფთა წყალი. მეტად საზიანოა სტრესები და კონფლიქტები. ღამით 1:46 მოხდება მზის დაბნელება. მისთვის უნდა მოვემზადოთ — უარი ვთქვათ ცხოველურ საკვებზე, მოწევაზე, ალკოჰოლზე, არ ვიდავოთ და არ დავიწყოთ ურთიერთობათა გარკვევა, ჩვენს ირგვლივ შევიქმნათ მშვიდი და კეთილი განწყობილება.

**24 — ახალი მთვარე, მზის დაბნელება, მთვარის შეერთება ვენერასთან ღრიანკალში**. ორგანიზმი ძლიერ დასუსტებულია, იმუნიტეტი დაქვეითებული — არ არის სასურველი ოპერაციები, აცრები, გაზრდილი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვები, ალკოჰოლის მოხმარება. გაიკონტროლეთ არტერიული წნევა,



გულს ნუ დაძაბავთ, ერიდეთ გადაღლას. შესაძლებელია თირკმლისა და სასქესო ორგანოების, ვენერიული და გინეკოლოგიური დაავადებანი. თუ შიმშილის გრძნობას თან ახლავს სისუსტე, თავბრუსხვევა, ოფლის გამოყოფა, შრომის უნარის დაკარგვა, აუცილებლად უნდა გავიზომოთ არტერიული წნევა. წარუმატებელი დღეა ახალი საქმეების და გადაწყვეტილებათა მიღებისათვის.

**25 — მთვარის შეერთება სატურნთან ღრიანკალში**. შეიძლება შეინიშნებოდეს დათრგუნვა, დეპრესია, შიში, ეჭვი, აგრესიულობა. შესაძლებელია პირდაპირი ნაწლავის დაავადება, ჰემოროის გამწვავება, ოსტეოქონდროზი, რევმატიზმი. არ არის გამორიცხული გონებრივი მოშლილობა, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში. დიდია ტრავმებისა და ვენერიულ დაავადებათა საფრთხე. ნუ მიიღებთ ცხოველურ საკვებს, უარი თქვით სპირტიან სასმელებზე, მოწევაზე, ფიზიკურ დატვირთვებზე. ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებას, კონფლიქტებს, იყავით ფრთხილად ტრანსპორტში მოგზაურობის დროს, აკონტროლეთ თქვენი ემოციები, ახალი საქმეები არ წამოიწყოთ.

**28 — მთვარის შეერთება მარსთან თხის რქაში**. შეიძლება გაგვეზარდოს ეჭვიანობა, მოუთმენლობა. დიდია ტრავმატიზმის, მოტეხილობის, სისხლის წამოსვლის, დამწვრობისა და დარტყმების, განსაკუთრებით თავში, საფრთხე. საალბათოა ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, ართრიტისა და ართროზის გამწვავება. იყავით თქვენს მოქმედებებში თანმიმდევრული და კეთილგონიერი, შეიკავეთ ემოციები, ნუ ჩაერთვებით კონფლიქტებში, გადადეთ საქმის გარჩევანი. ერიდეთ გაციებას, სტრესებს, იყავით ფრთხილად ცეცხლთან, მჭრელ და წვეტიან ინსტრუმენტებთან.

**29 — მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რქაში**. შესაძლებელია დაავადებანი, რომლებიც დაკავშირებულია მარილების დაგროვებასთან, ქვების წარმოქმნასთან. სასარგებლოა წრთობა, სამკურნალო ტანვარჯიში, კანის მოვლა, გამაჯანსაღებელი პროცედურები.

**31 — მთვარის პირველი მეოთხედი**. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, აქტიურობა იზრდება, ენერგიაც იზრდება. შესაძლებელია გაღიზიანებულობა, მოულოდნელი საქციელი, დავები და კონფლიქტები. საალბათოა ნერვული სისტემების, ვენების, ფეხების დაავადებანი, მხედველობის დასუსტება, საერთო სისუსტე, ანემია. რეკომენდებულია, შევამციროს ფიზიკური დატვირთვები. აუცილებელია სრულფასოვანი საკვები, ხშირი წყლის სმა, გასეირნება, ვარჯიშები, გამაჯანსაღებელი პროცედურები.

## ჩვენი კარაბადინი

# საგანგაშო ზარი

## გულის ტკივილის ექვსი ნიუანსი

**ტკივილი გულის არეში — ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ხშირი საბაბია, რომ მიმართოთ სასწრაფო დახმარებას. მაგრამ არის კი გამართლებული, ამ შემთხვევაში, ყოველთვის რომ მივმართოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას?**

**ამასთან დაკავშირებით ექიმი-სპეციალისტები გვირჩევენ:**

გულის არეში ტკივილების გაჩენის დროს მნიშვნელოვანია, რომ ვიმოქმედოთ გონივრულად და ზუსტად. ეს სიმპტომი ხომ შეიძლება იყოს სერიოზული პრობლემების სიგნალი, თვით მწვავე კორონარულ სინდრომამდე, რომელიც ორგანიზმის პათოლოგიური რეაქციების ერთობლიობას წარმოადგენს, მიოკარდის ინფარქტის განვითარების დროს რომ წარმოიქმნება. რომ არ დავუშვათ გულის კატასტროფა და სწორი ორიენტაცია მივცეთ „სასწრაფოს“ დისპეტჩერს, აუცილებელია, ყურადღება მივაქციოთ შემდეგ ნიუანსებს:

**სად გტკივა?** გულთან დაკავშირებული პრობლემების დროს ყველაზე დამახასიათებელია ტკივილი მკერდის არეში (ესე იგი გულის კუნთის ცენტრში). ამ ზონაში განლაგებულ ნერვულ დაავადებათა გადახლართვები ქმნიან ყველაზე მგრძნობიარე ზონებს, რომლებიც ფაქიზად რეაგირებენ გულის არასასიკეთო მდგომარეობაზე.



**როგორ გტკივა?** გულის შეტევისათვის დამახასიათებელია შეკუმშვა, შემოწოლა, მწველი, ზოგჯერ შემზარავი ტკივილი.

...ტკივილი გაჩნდა მარჯვენა მხარეში... შემდეგ იგი გადაცოცდა გულისკენ და გაიჩხირა სადღაც მარცხენა ძუძუსთან. შემდეგ თითქოს ვიღაცის ბებერი ხელი შემოიჭრა მკერდში და დაიწყო გულის დაწურვა, როგორც ყურძნის მტევნისა. წურავდა ნელა, დაჟინებით — ერთი-ორი, ორი-სამი, სამი-ოთხი... ბოლოს, როდესაც გამოწურულ გულში წვეთი სისხლიც აღარ დარჩა, იმავე ხელმა გულგრილად მოისროლა იგი... — ასე აღწერს ინფარქტის შეტევას ჩვენი საყვარელი მწერალი ნოდარ დუმბაძეზე, რომელმაც ეს თავის თავზე გამოსცადა.

**რამდენ ხანს გტკივა?** განვითარებადი ინფარქტის დროს გულის ტკივილის შეტევა გრძელდება გაცილებით უფრო დიდხანს (15 და მეტი წუთი), ვიდრე სტენოკარდიის დროს, ხშირად ახდენს ფიზიკური დატვირთვის ან სტრესის პროვოცირებას, თუმცა შეიძლება გაჩნდეს სიმშვიდის დროს, რაიმე შესამჩნევი მიზეზის გარეშე.

**სად გადაეცემა?** კარდიოლოგებს ყველაზე მეტად აფიქრებს ჩივილები ტკივილზე მკერდს მიღმა, რომელიც გადაეცემა ერთ ან ორივე მხარეზე და განსაკუთრებით ტბაზე. ასეთ ტკივილს ზოგი კბილის ტკივილად მიიჩნევს და შეტევის დამთავრების შემდეგ სტომატოლოგსაც კი მიმართავენ ხოლმე, ეჭვიც არ ეპარებათ, რომ ინფარქტის გზაზე იმყოფებოდნენ. საქმე ისაა, რომ ხერხემლის კისერ-მკერდის განყოფილების პროექციაში გადის ნერვები, რომლებითაც მიმდინარეობს გულისაც, ნიკაპისაც და მხრების სისლძარღვთა მიდამოებისაც ინერვაცია. ამიტომ ტკივილის ინერცია გულის კუნთიდან ხშირად გადაეცემა გულის კვანძზე. და თუ ამასთან ერთად ადამიანს უბუჟდება მარცხენა ხელი (მხრიდან იდაყვამდე ან ნეკამდე), სხეულზე კი ცივი ოფლი ჩნდება, ორი აზრი არ შეიძლება რომ იყოს: უნდა სასწრაფოდ ავკრიფოთ „სასწრაფოს“ ნომერი.

**დამოკიდებულია ტკივილი მოძრაობაზე?** როდესაც ამ შეკითხვას უპაუსხებ, შეიძლება, ივარაუდო, რასთან არის დაკავშირებული წარმოქმნილი ტკივილი — გულ-სისხლძარღვთა პრობლემასთან თუ ნეკნთაშორის ნევრალოგიასთან, ხერხემლის დაავადებებთან (ოსტეოქონდროზი). თუ ადამიანს ტკივილი ეცვლება ან უძლიერდება ამოსუნთქვის, ჩასუნთქვის, ხელის მოძრაობის დროს, მაშინ ის გულთან არაა დაკავშირებული. ხოლო თუ ტკივილი გაჩნდა ჩვეულებრივი სეირნობის დროს ბინაში ან სიმშვიდის დროს, ეს არის მწვავე კორონარული სინდრომის ნიშანი და საბაბი „სასწრაფოს“ გამოსაძახებლად.

**არის ქოშინი?** ქოშინისთვის, რომელიც სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს, დამახასიათებელია მოულოდნელი, მწვავე დასაწყისი. განსაკუთრებით თუ ჰაერის უკმარისობის შეგრძნება გაჩნდა პირველად, სიმშვიდის მდგომარეობაში ან ადამიანისთვის ჩვეულებრივი ფიზიკური დატვირთვის დროს (ბინის დალაგება, გასეირნება, სამსახურისკენ წასვლა), და მცირდება იგი, როდესაც ადამიანი ჩამოჯდება ან წამოწვება. ზოგჯერ ასეთი ტიპით შეიძლება მიმდინარეობდეს გულის იშემიური დაავადება, ფილტვების ჰიპერტონია, მწვავე კორონარული უკმარისობა, მიოკარდის ინფარქტის უმტკივნეულო ფორმა, ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია.

თუმცა, ქოშინი შეიძლება ნევროზული წარმომავლობისაც იყოს, ემოციური დაძაბულობის შემდეგ, როდესაც სისხლში ჩაედინება სტრესის ჰორმონები, რომლებიც ზრდიან სასუნთქი მოძრაობის რიცხვს. ასე რომ, ეს სიმპტომი უმჯობესია, განვიხილოთ სხვებთან კომპლექსში.

### მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ

**თუ თქვენში შენიშნეთ ბევრი რამ ზემოაღწერილი პრობლემიდან, თამამად გამოიძახეთ „სასწრაფო“. ექიმების მოსვლამდე უნდა დაჯდეთ ან წამოწვეთ საწოლზე თავით მაღლა (მუთაქა, ბალიში და ა. შ), უზრუნველყავით თავისთვის ან დაზარალებულისთვის სუფთა ჰაერის მიღება, შევწყვიტოთ ნებისმიერი ფიზიკური დატვირთვა, შევეცადოთ, დავითვალოთ პულსი და გავიზომოთ არტერიული წნევა.**

გულში ტკივილის დროს არ არის საძრახისი ნიტროსპრეის ერთხელ-ორჯერ მიღება (უმჯობესია ჯდომის ან წოლის დროს, ეს თავიდან გვაცილებს არტერიული წნევის მკვეთრ დაწევას და გულის წასვლას). სხვათა შორის, ნიტროსპრეის გამოყენება შეიძლება, შევაფასოთ როგორც თავისებური ტესტი. თუ ნიტროსპრეი არ მოგვიხსნის ტკივილს ან მოგვიხსნის მეტად უმნიშვნელოდ, ეს შეიძლება იყოს იმის პირველი დადასტურება, რომ თქვენ ინფარქტისკენ მიმავალ ნახევარგზაზე იმყოფებით, ან, პირიქით, ტკივილის ეს სინდრომი არ არის დაკავშირებული გულთან. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ნიტროგლიცერინი აუმჯობესებს გულის მუშაობას და ტაქიკარდიის ფონზე გაზრდილ არტერიულ წნევასთან შეხამებით მისი მიღება არასასურველია.

## ცინცხალი ანეკდოტები

**— სარა, რა გაქვს მაგ მედალიონში?**
**— ჩემი ქმრის თმები.**
**— მაგრამ ის ხომ ჯერ ცოცხალია...**
**— ის კია ცოცხალი, მაგრამ თმები დიდი ხანია არა აქვს.**

* * *

**მიხო ღამით რაღაცნაირმა ფაჩუნმა გააღვიძა. გაიხედა შემოსასვლელისკენ და დაინახა, რომ ქურდი ყუთებში იქექება.**
**— რას ეძებ მანდ? — მიაძახა.**
**— ფულს.**
**— თუ ნახე, გამაღვიძე... — ჩაიბურტყუნა მიხომ და მეორე გვერდზე გადაბრუნდა.**



* * *

**მამაჩემი თეფშების რეცხვისას სამზარეულოს ნიჟარას შეუწოვია და მეზობლის აბაზანაში ამოუგდია ზუსტად მაშინ, როდესაც იქ თურმე ოჯახის დიასახლისი ბანაობდა.**
**ყოველ შემთხვევაში ასე აუხსნა მამაჩემმა ეს დედაჩემს.**

* * *

**— შენი ქმარი ვინ არის ჰოროსკოპით?**
**— ვინ არის და, ჯორი.**
**— მაგრამ ასეთი ზოდიაქო რომ არ არსებობს?**
**— იგი იშვიათი ჯორია.**

* * *

**— კარგად შეხედე შენს თავს, აბრამ! ნამდვილი უიღბლო ხარ! რამდენი წელია ჩემს ხარჯზე ცხოვრობ ჩემ ბინაში, სადაც, ისე, რომ შენგან კაპიკიც არ მახსოვს, გაჭმევ, გასმევ, გაცმევ, გირეცხავ და თანაც შენთან მძინავს ერთ საწოლში!**
**— სარა, საყვარელო, ამის მერე კიდევ უიღბლოს მეძახი?**

## ტესტი

# თქვენი დამოკიდებულება ცხოვრებისადმი

1. ხშირად იცინით?
2: ნახულობთ ფანტასტიკურ სიზმრებს?
3. დიდხანს განიცდით წარუმატებლობას?
4. ფიქრობთ, რომ ეს ცხოვრება უნდა გებრალებოდეს?
5. თქვენთვის ნაცნობია უიმედობის გრძნობა?
6. გღლით ურთიერთობა გარშემომყოფებთან?
7. ხომ არ გეჩვენებათ, რომ ცხოვრება უმიზნოა?
8. გჯერათ უკეთესი მომავლისა?
9. სხვებს თქვენზე მეტად უმართლებს ცხოვრებაში?
10. გეჩვენებათ, რომ თქვენი ცხოვრება სხვებმა გააფუჭეს?
11. გიყვართ სხვების სასაცილოდ აგდება?
12. ზოგჯერ თავს გრძნობთ უბედურად მიზეზების გარეშე?
13. გიყვართ დროსტარება მხიარულ კომპანიებში?

**გვჯერა, რომ თქვენს პასუხებში იყავით გულწრფელი. ყოველ დადებით პასუხზე („დიახ“) 3, 4, 5, 6, 7, 9, 10 და 12 და ყოველ უარყოფით პასუხზე („არა“) 1, 2, 8, 11 და 13 შეკითხვააზე დაიწერეთ 1 ქულა.**

### შეაჯამეთ ქულები და გაეცანით დასკვნებს

**თუ ჯამში აღმოჩნდა სულ 0-დან 2 ქულამდე,** შეიძლება მოგილოცოთ — თქვენ ოპტიმისტურად უყურებთ თქვენს ცხოვრებას და თქვენთვის დამახასიათებელია ყოფიერების პოზიტიური აღქმა. თქვენ გწამთ, რომ თუ ცხოვრებაში გვხვდება რაღაც სირთულეები, მათი დაძლევა სავსებით შესაძლებელია და ყოველ შავ ზოლს აუცილებლად მოჰყვება ნათელი.

**თუ აღმოგაჩნდათ 3-დან 7 ქულამდე,** ეს შეიძლება მოწმობდეს იმაზე, რომ თქვენ ცდილობთ, იაზროვნოთ პოზიტიური კატეგორიებით, თუმცა, ეს ყოველთვის არ გამოგდით. ზოგჯერ იწყებთ ამ სამყაროს და მთლიანად თქვენი ცხოვრების ნეგატიურ აღქმას. თუმცა, ჩვეულებრივად ვერ გძლევთ პესიმიზმის ჭაობი, ეს კი უკვე კარგია, ვინაიდან მხოლოდ ოპტიმისტური გარემო გვეხმარება, დავძლიოთ ცხოვრების ნებისმიერი სიძნელეები.

**ხოლო თუ თქვენს მიერ დაგროვილი ქულების ჯამი 8-სა და 13-ს შორისაა,** ეს უკვე შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ თქვენ ცხოვრებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაქვთ, მისგან არ ღებულობთ სიამოვნებას და, უფრო მეტიც, თქვენ, როგორც ჩანს, ვერ ხედავთ „შუქს გვირაბის ბოლოს“. ეტყობა, თქვენ „იჩხირებით“ ყოფილ წარუმატებლობებში, ეს კი ნეგატიურ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ცხოვრებისადმი თქვენს დამოკიდებულებაზე, არამედ, საუბედუროდ, თქვენდამი გარშემომყოფთა დამოკიდებულებაზეც.

**პაციენტთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

## ფოტოფაქტი



**ბრაზილიელი ფოტოგრაფი რენატო ნავარო მოგზაურობდა ვიეტნამში. ქალაქ ხოშიმინში მდინარე მეკონგის მახლობლად გადატვირთულ ტრასაზე მან დაინახა კოლორიტული სურათი: მოპედების ერთ-ერთ მძღოლს გადაჰქონდა კალათა, რომელიც ბატებით იყო სავსე. მან შეძლო თავის სატრანსპორტო საშუალებაზე მოეთავსებინა დაახლოებით 40 ფრინველი, რომელთაგანაც ზოგიერთი მოგზაურობდა მძღოლის ფეხებს შორისაც კი.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24